

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

---

---

ISSN 1512-0996

გ რ მ ა გ ბ 0  
TRANSACTIONS  
Т Р У Д Ы

№1(479)



02092010 – TBILISI – ТБИЛИСИ  
2011

## **სარედაქციო კოლეგია:**

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ლ. ქლიმიაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ზ. გასიტაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. აბრალავა, გ. აბრამიშვილი, ა. აბშილავა, თ. ამბროლაძე, თ. ბაციკაძე, ჯ. ბერიძე, თ. გაბადაძე, ჯ. გახოვაძე, თ. გელაშვილი, ა. გიგინეიშვილი, ალ. გრიგორიშვილი, გ. ელიზბარაშვილი, ს. ესაძე, ვლ. ვარდოსანიძე, უ. ზვიადაძე, თ. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, კ. თევზაძე, მ. თევზაძე, ს. თოფურია, ბ. იმნაძე, ი. კვესელავა, ბ. იმნაზე, ი. კვიციანი, თ. ლომინაძე, ი. ლომიძე, მ. მაცაბერიძე, თ. მეგრელიძე, ა. მოწონელიძე, ლ. მდინარიშვილი, დ. ნატროშვილი, შ. ნემსაძე, დ. ნოზაძე, გ. სალუქევაძე, ქ. ქოქრაშვილი, კ. ქუთელია, ა. შავგულიძე, მ. ჩოხეიძე, თ. ჯაგოდნიშვილი, ს. ჯიბლაძე, თ. ჯიშკარიანი.

## **EDITORIAL BOARD:**

A. Prangishvili (chairman), L. Klimiashvili (vice-chairman), Z. Gasitashvili (vice-chairman), A. Abralava, G. Abramishvili, A. Abshilava, T. Ambroladze, T. Bacikadze, J. Beridze, T. Gabadadze, J. Gakhokidze, O. gelashvili, A. Gigineishvili, Al. Grigolishvili, E. Elizbarashvili, S. Esadze, Vl. Vardosanidze, U. Zviadadze, O. Zumburidze, D. Tavxelidze, E. Tevzadze, M. Tevzadze, S. Tofuria, B. ImnaZe, I. Kveselava, T. Kviciani, T. Lominadze, I. Lomidze, M. Macaberidze, T. MegreliZe, A. Motzonelidze, L. Mdzinarishvili, D. Natroshvili, Sh. Nemsadze, D. Nozadze, G. Saluqvadze, K. Kokrashvili, E. Qutelia, A. Shavgulidze, M. Chkheidze, T. Jagodnishvili, N. Jibladze, T. Jishkariani.

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

А. Прангишвили (председатель), Л. Климиашвили (зам. председателя), З. Гаситашвили (зам. председателя), А. Абралава, Г. Абрамишвили, А. Абшилава, Т. Амброладзе, Т. Бацикадзе, Дж. Беридзе, Т. Габададзе, Дж. Гахокидзе, О. Гелашвили, А. Гигинеишвили, Ал. Григолишвили, Е. Елизбарашивили, С. Есадзе, Вл. Вардосанидзе, У. Звиададзе, О. Зумбуриձe, Д. Тавхелиձe, Е. Тевзадзе, М. Тевзадзе, С. Топурия, Б. Имнадзе, И. Квеселава, Т. Квициани, Т. Ломинадзе, И. Ломидзе, М. Мацаберидзе, Т. Мегрелиձe, А. Моционелиձe, Л. Мдзинариშвили, Д. Натрошиშвили, Ш. Немсадзе, Д. Нозадзе, Г. Салуквадзе, К. Кокрашвили, В. Кутелиა, А. Шавгуlidze, М. Чхеидзе, Т. Джагодниშвили, Н. Джибладзе, Т. Джишкарiani.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011



Publishing House “Technical University”, 2011

Издательский дом “Технический Университет”, 2011

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



# შინაარსებ

## სამშენებლო

6. პერიშვილი, თ. ხმელიძე, რ. გიორგობიანი. ვირვიტების სუფთა ღუნდის ახლობერი ბააზრება .....	9
6. პერიშვილი, თ. ხმელიძე, რ. გიორგობიანი. ზოგიერთი ზონააღმდებობანი ვირვიტების სუფთა ღუნდის თეორიაში .....	12
ლ. პერიძე. კონტროლისა და მართვის გოჭკოვან-ოპტიკური სისტემები ვიბრაციონისათვის .....	15

## სამორ-გეოლოგია

ხ. ავალიანი, უ. ზეიადაძე. სუზსა - ომვარეთის ნავთონებსაძიებო მოედნის კიდროგეოლოგიური ჰრილი, - კოლხეთის დაბლობზე კიდროგეოლოგიური ინვერსიის გამოხატვლება .....	20
ი. მშვენიერაძე. გიორგიტის მინერალოგია და გეოქიმია ძირულის კრისტალური მასივის კალიუმიან გრანიტებში .....	25

## ქიმიური ტექნოლოგია და მეტალურგია

რ. გეგტაძე, დ. გეგტაძე. ისტორიული სახელმწიფობები ასახული ასომთავრულ ანგანურ სისტემაში .....	29
ზ. სიმონგულაშვილი, მ. ცირდაგა, გ. კლდიაშვილი, შ. ნემსაძე, ნ. ჩიქოვანი. საკაზმე მასალებში გამავალი დენების დამოკიდებულება ვეროშენადნობთა ღუმლის გეოგეოტრიულ ზომებზე .....	36
ო. მიქაძე, გ. დარსაველიძე, ნ. მაისურაძე, მ. დარჩიაშვილი. ძროშის ოქსიდების ახალი სტრუქტურები და თვისებები მეტალ-ოქსიდ-ნახევარბამტარის სისტემაში .....	42

## ინფორმატიკა, მართვის სისტემები

გ. ამილახვარი, დ. გულუა, გ. ფიფია. M/M/4+3 სისტემის მოდელირება და ანალიზი .....	46
ი. ჩხეიძე, მ. პერიშვილი, ლ. ტოქაძე. პარდიორიტების სისტემის დინამიკური სისტემის ანალიზი კოგიუმერული ვიზუალიზაციული მეთოდების საფუძველზე .....	51
ს. თოფურია, ვ. ხოჭოლავა. სივრცებ ლაპარასის ლაპარაული მოპრივების შესახებ .....	55
ი. ზედგინიძე, თ. მენაბდე. სასრავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინტელექტუალური სისტემა .....	61

## სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა

გ. შარაშენიძე, პ. კურტანიძე, ნ. მდებრიშვილი. თ. დუნდუა, ს. შარაშენიძე. ოპტიმალური სამუხრუჭო გერეტული გადაცემის დამატებითი თავისუფალი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები .....	67
---	----

<b>დ. თავხელიძე, ზ. მჭედლიშვილი, ზ. კუბლაშვილი.</b> მოძრაობის ორი თავისუფლების ხარისხის ხუთირგოლა გერგეტულ მექანიზმი პირდაპირი გეოგეტრიული ამოცანის ამოქნის საკითხისათვის .....	72
<b>გ. შარაშენიძე, თ. დუნდუა, ნ. მდებრიშვილი, პ. კურტანიძე, ს. შარაშენიძე.</b> ვაბონების სამუხრუჭო გერგეტული გადაცემის ელემენტების საექსპლუატაციო მუშაობის ანალიზი ცვეთების გათვალისწინებით .....	78
<b>თ. ბუხნიკაშვილი, პ. ბუხნიკაშვილი.</b> მიწისმშრები მანქანების მუშა რობანოების მოდერნიზაცია .....	82
 <b>ჰუმანიტარულ-სოციალური</b>	
<b>რ. ქუთათელაძე, ა. კობიაშვილი.</b> მნიშვნელოვანი მეცნიერებების მდგრადირება ბადარითვების მიმდევრობის გენერაციის მოდელირება .....	87
<b>თ. შიუკაშვილი.</b> მგემო ხოდაშნის „სამების ეკლესია” .....	91
<b>ნ. გამყრელიძე.</b> ვრაზეოლობიური ერთეულის შინაგორა, სიბაოლიზაცია და კვაზისტერეოტიკული სიტუაციის მოდელი .....	95
<b>ნ. გამყრელიძე.</b> ვრემიში და ადამიანის მეტაფორული აზროვნება .....	99
<b>ავტორთა საძიებელი</b> .....	102
<b>ავტორთა საზრადლებოდ</b> .....	103

# CONTENTS

## BUILDING

<b>N. Berishvili, T. Khmelidze, R. Giorgobiani.</b> NEW APPROACH TO PLATES PURE BEND .....	9
<b>N. Berishvili, T. Khmelidze, R. Giorgobiani.</b> SOME CONTRADICTIONS IN THE THEORY OF PLATES PURE BEND .....	12
<b>L. Beridze.</b> CONTROL AND MONITORING FIBROUS-OPTICAL SYSTEMS FOR VIBRATOR .....	15

## MINING AND GEOLOGY

<b>Kh. Avaliani, U. Zviadadze.</b> HYDROGEOLOGICAL PROFILE OF OIL PROSPECTING AREA SUPSA – OMPARETI, AS AN EXPRESSION OF HYDROGEOCHEMICAL INVERSION ON KOLKHIDA LOWLAND .....	20
<b>I. Mshvenieradze.</b> MINERALOGY AND GEOCHEMISTRY OF BIOTITE OF DZIRULA CRYSTALLINE ROCK-MASS OF CALIUM GRANITE .....	25

## CHEMICAL TECHNOLOGY AND METALLURGY

<b>R. Gvetadze, D. Gvetadze.</b> HISTORIC NAMES REFLECTED IN ASOMTAVRULI ALPHABETICAL SYSTEM .....	29
<b>Z. Simongulashvili, M. Tsirdava, V. Kldiashvili, Sh. Nemsadze, S. Nebieridze.</b> DEPENDENCE OF CURRENTS FLOWING THROUGH CHARGE MATERIALS ON GEOMETRICAL DIMENSIONS OF FERRO-ALLOY STOVE .....	36
<b>O. Mikadze, G. Darsavelidze, N. Maisuradze, M. Darchiashvili.</b> NEW STRUCTURES AND PROPERTIES OF CHROMIUM OXIDES IN THE METAL-OXIDE-SEMICONDUCTOR SYSTEM.....	42

## INFORMATIC, MANAGING SYSTEMS

<b>G. Amilakhvari, D. Gulua, G. Pipia.</b> CREATION OF MODEL AND ANALYSIS OF SYSTEM M/M/4+3 .....	46
<b>I. Chkheidze, M. Berishvili, L. Tokadze.</b> THE ANALYSIS OF DYNAMIC SYSTEM OF FREQUENCY CARDIORHYTHM ON THE BASIS OF THE COMPUTER VISUALIZED METHODS .....	51
<b>S. Topuria, V. Khocholava.</b> ABOUT LACUNAR LAPLACE SERIES ON THE SPHERE .....	55
<b>I. Zedginidze, T. Menabde.</b> INTELLECTUAL SYSTEM OF ESTIMATION OF STUDYING PROCESS QUALITY .....	61

## TRANSPORT, MECHANICAL ENGINEERING

<b>G. Sharashenidze, P. Kurtanidze, N. Mgebrishvili, T. Dundua, S. Sharashenidze.</b> DIFFERENTIAL EQUATIONS OF ADDITIONAL FREE MOTION OF OPTIMUM BRAKE LEVER TRANSMISSION.....	67
<b>D. Tavkhelidze, Z. Mchedlishvili, Z. Kublashvili.</b> SOLUTION OF STRAIGHT GEOMETRICAL PROBLEM FOR FIVE LINK MECHANISM WITH TWO DEGREES OF FREEDOM .....	72

<b>G. Sharashenidze, T. Dundua, N. Mgebrishvili, P. Kurtanidze, S. Sharashenidze.</b> ANALYSIS OF OPERATIONAL WORK OF BRAKE LEVERAGE TRANSMISSION ELEMENTS OF THE CARS WITH TAKING INTO ACCOUNT DETERIORATIONS .....	78
<b>T. Bukhnikashvili, P. Bukhnikashvili.</b> UP-GRADING OF EARTH-CUTTING MACHINE EXECUTIVE DEVICE .....	82
 <b>THE HUMANITIES-SOCIAL</b>	
<b>R. Kutateladze, A. Kobiashvili.</b> SIMULATION OF SWITCHING SEQUENCE GENERATION AT SUBSTATIONS OF POWER SYSTEM .....	87
<b>T. Shiukashvili.</b> THE TEMPLE OF THE TRINITY IN KVEMO KHODASHENI.....	91
<b>N. Gamkrelidze.</b> THE INTERNAL FORM OF PHRASEOLOGICAL UNIT, AS A MODEL OF SYMBOLIZATION AND QUASISTEREOTYPE SITUATION .....	95
<b>N. Gamkrelidze.</b> FRAME AND THE METAPHORIC THINKING OF A PERSON.....	99
<b>AUTHORS INDEX</b> .....	102
<b>TO THE AUTHORS ATTENTION</b> .....	103

# СОДЕРЖАНИЕ

## СТРОИТЕЛЬСТВО

Н.Ш. Беришвили, Г.П. Хмелидзе, Р.Ш. Гиоргобиани. НОВЫЙ ПОДХОД К ЧИСТОМУ ИЗГИБУ ПЛАСТИНОК.....	9
Н.Ш. Беришвили, Т.П. Хмелидзе, Р.Ш. Гиоргобиани. НЕКОТОРЫЕ ПРОТИВОРЕЧИЯ В ТЕОРИИ ЧИСТОГО ИЗГИБА ПЛАСТИНОК .....	12
Л.Н. Беридзе. ВОЛОКОННО-ОПТИЧЕСКИЕ СИСТЕМЫ ВИБРАТОРОВ ДЛЯ КОНТРОЛЯ И УПРАВЛЕНИЯ .....	15

## ГОРНОЕ ДЕЛО И ГЕОЛОГИЯ

Х. А. Авалиани, У.И. Звиададзе. ГИДРОГЕОЛОГИЧЕСКИЙ РАЗРЕЗ НЕФТЕПОИСКОВОЙ ПЛОЩАДИ СУПСА – ОМПАРЕТИ КАК ВЫРАЖЕНИЕ ГИДРОХИМИЧЕСКОЙ ИНВЕРСИИ НА КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ .....	20
И.Н. Мшвениерадзе. МИНЕРАЛОГИЯ И ГЕОХИМИЯ БИОТИТА КАЛИЕВЫХ ГРАНИТОВ ДЗИРУЛЬСКОГО КРИСТАЛЛИЧЕСКОГО МАССИВА.....	25

## ХИМИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ, МЕТАЛЛУРГИЯ

Р.Г. Гветадзе, Д.Р. Гветадзе. ИСТОРИЧЕСКИЕ ИМЕНА, ЗАСВИДЕТЕЛЬСТВЕННЫЕ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ АЛФАВИТНОЙ СИСТЕМЕ «АСОМТАВРУЛИ» .....	29
З.А. Симонгулашвили, М.О. Цирдава, В.И. Клдиашвили, Ш.А. Немсадзе, Н.Р. Чиковани. ЗАВИСИМОСТЬ ТОКА ШИХТОВЫХ МАТЕРИАЛОВ ОТ ГЕОМЕТРИЧЕСКИХ РАЗМЕРОВ ФЕРРОСПЛАВНОЙ ПЕЧИ .....	36
О.И. Микадзе, Г.Ш. Дарсавелидзе, Н.И. Майсурладзе, М.Д. Дарчиашвили. НОВЫЕ СТРУКТУРЫ И СВОЙСТВА ОКСИДОВ ХРОМА В СИСТЕМЕ МЕТАЛЛ-ОКСИД-ПОЛУПРОВОДНИК .....	42

## ИНФОРМАТИКА, СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

Г.Н. Амилахвари, Д.В. Гулua, Г.М. Пипиа. ПОСТРОЕНИЕ МОДЕЛИ И АНАЛИЗ СИСТЕМЫ М/М/4+3 .....	46
И.М. Чхеидзе, М.Г. Беришвили, Л.Ш. Токадзе. АНАЛИЗ ДИНАМИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ ЧАСТОТЫ КАРДИОРИТМА НА ОСНОВЕ КОМПЬЮТЕРНЫХ ВИЗУАЛИЗИРОВАННЫХ МЕТОДОВ .....	51
С.Б. Топурия, В.В. Хочолава. О ЛАКУНАРНЫХ РЯДАХ ЛАПЛАСА НА СФЕРЕ .....	55
И.Г. Зедгинидзе, Т.Р. Менабде. ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНАЯ СИСТЕМА ОЦЕНКИ КАЧЕСТВА УЧЕБНОГО ПРОЦЕССА .....	61

## ТРАНСПОРТ, МАШИНОСТРОЕНИЕ

Г.С. Шарашенидзе, П.Р. Куртанидзе, Н.Н. Мгебришвили, Т.Дж. Дундуа, С.Г. Шарашенидзе. ДИФФЕРЕНЦИАЛЬНЫЕ УРАВНЕНИЯ ДОБАВОЧНОГО СВОБОДНОГО ДВИЖЕНИЯ ОПТИМАЛЬНОЙ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ .....	67
---	----

<b>Д.Д. Тавхелидзе, З.Т. Мchedлишвили, З.П. Кублашвили.</b> К ВОПРОСУ РЕШЕНИЯ ПРЯМОЙ ГЕОМЕТРИЧЕСКОЙ ЗАДАЧИ ПЯТИЗВЕННОГО РЫЧАЖНОГО МЕХАНИЗМА С ДВУМЯ СТЕПЕНЯМИ СВОБОДЫ ДВИЖЕНИЯ .....	72
<b>Г.С. Шарашенидзе, Т.Дж. Дундуа, Н.Н. Мгебришвили, П.Р. Куртанидзе, С.Г. Шарашенидзе.</b> АНАЛИЗ ЭКСПЛУАТАЦИОННОЙ РАБОТЫ ЭЛЕМЕНТОВ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ ВАГОНА С УЧЕТОМ ИЗНОСА .....	78
<b>Т.П. Бухнкашвили, П.Т. Бухникашвили.</b> МОДЕРНИЗАЦИЯ РАБОЧИХ ОРГАНОВ ЗЕМЛЕРЕЖУЩИХ МАШИН .....	82
 <b>ГУМАНИТАРНО-СОЦИАЛЬНАЯ</b>	
<b>Р.Г. Кутателадзе, А.А. Кобиашвили.</b> МОДЕЛИРОВАНИЕ ГЕНЕРАЦИИ ПОСЛЕДОВАТЕЛЬНОСТИ ПЕРЕКЛЮЧЕНИЙ НА ПОДСТАНЦИЯХ ЭНЕРГОСИСТЕМЫ .....	87
<b>Т.Д. Шиукашвили.</b> ЦЕРКОВЬ ТРОИЦЫ В КВЕМО ХОДАШЕНИ .....	91
<b>Н.О. Гамкрелидзе.</b> ВНУТРЕННЯЯ ФОРМА ФРАЗЕОЛОГИЧЕСКОЙ ЕДИНИЦЫ, КАК МОДЕЛЬ СИМВОЛИЗАЦИИ И КВАЗИСТЕРЕОТИПНОЙ СИТУАЦИИ .....	95
<b>Н.О. Гамкрелидзе.</b> ФРЕЙМ И МЕТАФОРИЧЕСКОЕ МЫШЛЕНИЕ ЧЕЛОВЕКА .....	99
 <b>ПЕРЕЧЕНЬ АВТОРОВ</b> .....	102
 <b>К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ</b> .....	103

# სამშენებლო სექცია

შპს 539.3

ზორგილების სუვთა დუნეის ახლებური გააზრება

ნ. ბერიშვილი, თ. ხმელიძე, რ. გომირგობიანი

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: elitegeo2002@gmail.com

**რეზიუმე:** განხილულია ფირფიტაზე ერთი მომართულებით მოქმედი გარე ძალებისგან გამოწვეული მდუნავი მომენტების გავლენა მისი მართული მიმართულებით დაძაბულ მდგომარეობაზე, რაც ფირფიტების სუფთა დუნეის კლასიკურ თეორიაში უგულებელყოფილია პუასონის კოეფიციენტის მუდმივობის გამო  $x$  და  $y$  დერძბის მიმართულებით, რის გამოც ფირფიტის პილებზე სასაზღვრო პირობები ვერ კმაყოფილდება დეფორმაციის შესაბამისი ძაბვებიც რომ ყოფილიყო მხედველობაში მიღებული.

შემოთავაზებულია, რომ ფირფიტაზე მოქმედი გარე მდუნავი მომენტების მართულები მიმართულებითაც აღიძვრება ცვლადი სიდიდის ძაბვები და შესაბამისად ცვლადი მომენტები, რაც აკმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს. ჩაწერილია ფირფიტის დუნეის დიფერენციალური განტოლება, რომლის ინტეგრებითაც მიღებულია ფირფიტის ჩაღუნვის გამოსახულება.

**საკვანძო სიტყვები:** ფირფიტა; სუფთა დუნეა; გარე ძალები; სასაზღვრო პირობები; ჩაღუნვა.

## 1. შესავალი

ფირფიტების დუნეის დროს ვგულისხმობთ, რომ გარე ძალები მოდებულია შეა სიბრტყის გვერდით ზედაპირებთან გადაკვეთის კონტურზე. გაანგარიშება (ძაბვებისა და დეფორმაციების გამოთვლა) წარმოებს ფირფიტების დუნეის კლასიკური თეორიის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება გ. იორჟოვის მიერ შემოთავაზებულ ცნობილ პიპოტეზას. დუნეის მირთადი განტოლების (სოფი უერმენი) ამოხსნა უშუალოდ ინტეგრებით არ ხერხდება, ამიტომ მას ვეძებთ უსასრულო მწკრივის სახით. სწორკუთხა ფირფიტის კონტურის სახსროვნად დაყრდნობის შემთხვევაში ვიყენებთ ნავიეს სინუსების ორმაგ ტრიგონომეტრიულ მწკრივებს. ი. ბუბნოვმა და ბ. გალიორკინმა შექმნეს მირთადი განტოლე-

ბის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც ე.წ. ორთოგონალური ფუნქციების თვისებებს ეყრდნობა. საინტერესოა რიტც-ტიმოშენკოს მეთოდი, რომელიც ფირფიტის შეა წერტილების  $u$ ,  $v$  და  $w$  გადაადგილებებს წარმოადგენს კინემატიკური სასაზღვრო პირობების დამაკმაყოფილებელი მწკრივის საშუალებით. ამ მეთოდების გარდა არსებობს სხვა უამრავი მიახლოებითი მეთოდებიც, რომლებიც რიგ შემთხვევაში კარგ შედეგებს იძლევა [1, 2].


ამჟამად ფირფიტების დუნეის ამოცანის გადასაწყვეტად მიმდინარეობს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები და გაანგარიშების ახალი მეთოდები იქმნება ან არსებული მეთოდების დახვეწის ხდება.

დღემდე არსებული ფირფიტების სუფთა დუნეის კლასიკურ თეორიაში ითვლება, რომ თუ სწორკუთხა ფირფიტის მოპირდაპირე გვერდებზე მოქმედებს თანაბრად განაწილებული  $M_x$  და  $M_y$  მდუნავი მომენტები, მაშინ, ვთქვათ,  $x$  დერძის მიმართულებით მოქმედი  $M_x$  მომენტი გავლენას არ ახდენს მისი მართობი მიმართულებით ( $y$  დერძი) დაძაბულ მდგომარეობაზე, რაც საბოლოო ჯამში იმას იწვევს, რომ ფირფიტის კონტურზე სასაზღვრო პირობები არ კმაყოფილდება.

## 2. ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ფირფიტა, რომლის გვერდების განაწილებული მდუნავი მომენტები  $M_1$  და  $M_2$ .  $M_1$ -ის მოქმედების შედეგად ფირფიტის ზედა ბოჭკოები  $y$  დერძის მიმართულებით შეიკუმშება, ქვედა ბოჭკოები კი გაიჭიმება, რის გამოც  $x$  დერძის მიმართულებითაც შესაბამისად ბოჭკოები გაიჭიმება და შეიკუმშება. ეს დეფორმაციები  $x$  დერძის მიმართულებით განხორციელდება  $M_1$  მომენტის მოქმედებით წარმოქმნილი ძაბვების საშუალებით, რომლებიც ფირფიტის მთელ სისქეზე ინტეგრების შედეგად წარმოშობს  $x$  დერძის მიმართულებით მოქმედ მდუნავ მომენტებს. ასეთივე სუ-

რათხ ექნება ადგილი  $M_x$  და  $M_2$  მომენტების მოქმედების შედეგად. ასეთი მოქმედება  $y$  ღერძის გასწვრივ შექმნის გამჭიმავ და მკუმშავ ძალებს, რომლებიც ფირფიტის სისქეზე ინტეგრებით წარმოშობს მდუნავ მომენტებს. ამგვარად  $M_1$  და  $M_2$  გარე დატვირთვის მოქმედებით  $x$  და  $y$  ღერძების მიმართულებით წარმოშვება დამატებითი მდუნავი მომენტები, რომლებიც  $M_1$  და  $M_2$  მომენტებით წარმოშობილ ჩაღუნვებს ამცირებს, რადგან მათ გარე მომენტების საწინააღმდეგო ნიშანი აქვთ (ნახ. 1).



$M_1$  მომენტების მოქმედების შედეგად  $x$  ღერძის მიმართულებით აღიძვრება ძაბვები [3, 4].

$$\sigma'_x = \frac{4vM_2 \cdot Z}{a \cdot I} \cdot x. \quad (1)$$

$\sigma'_x$  ძაბვები  $M'_x$  მდუნავ მომენტს შექმნის

$$M'_x = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} \sigma'_x \cdot z dz = \frac{4vM_1}{a} \cdot x. \quad (2)$$

ანალოგიურად  $M_2$  მომენტების მოქმედებით  $y$  ღერძის მიმართულებით წარმოიშობა ძაბვები [4].

$$\sigma'_y = \frac{4vM_1 \cdot Z}{I \cdot b} \cdot y. \quad (3)$$

$\sigma'_y$  ძაბვები კი  $M'_y$  მდუნავ მომენტს შექმნის

$$M'_y = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} \sigma'_y \cdot z dz = \frac{4vM_2}{a} \cdot y. \quad (4)$$

საბოლოოდ ფირფიტის პვეტებში წარმოიშობა შემდეგი სახის მდუნავი მომენტები, შესაბამისად  $x$  და  $y$  ღერძების გასწვრივ:

$$\begin{aligned} M_x &= M_2 - \frac{4vM_1}{a} \left( \frac{a}{2} - x \right), \\ M_y &= M_1 - \frac{4vM_2}{b} \left( \frac{b}{2} - y \right), \end{aligned} \quad (5)$$

სადაც  $v$  არის პუასონის კოეფიციენტი;  $a$  და  $b$  – ფირფიტის გვერდების სიგრძეები;  $h$  – ფირფიტის სისქე;  $I$  – ფირფიტის ერთეულის სიგანის ზოლის ინტეგრის მომენტი.

ჩვენ განვიხილავთ ფირფიტის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას პირველ მეოთხედში. ფირფიტისა და მისი დატვირთვების სიმეტრიულობის გამო დანარჩენ მეოთხედებშიც ანალოგიურ სურათს ექნება ადგილი. როგორც (5) გამოსახულებიდან ჩანს მდუნავი მომენტები აქმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს: როცა  $x=a/2$ , მაშინ  $M_x=M_2$  და როცა  $y=b/2$ , მაშინ  $M_y=M_1$ .

$M_1$  და  $M_2$  გარე მდუნავი მომენტების მიმართ ცხადია შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ძალთა მოქმედების დამოუკიდებლობის პრინციპი – ფირფიტის ჩაღუნვები განვსაზღვროთ  $M_x$  და  $M_y$  მდუნავი მომენტების მოქმედებით და მათი შეჯამებით მივიღოთ ფირფიტის სრული ჩაღუნვების გამოსახულება.

ფირფიტის გადუნული ზედაპირის განგსაზღვრელ დიფერენციალურ განტოლებებს  $M_x$  და  $M_y$  მდუნავი მომენტების ცალ-ცალკე მოქმედების დროს შესაბამისად შემდეგი სახე ექნებათ:

$$\begin{aligned} \frac{\partial^2 W_x}{\partial x^2} &= - \left[ M_x - \frac{4vM_1}{a} \left( \frac{a}{2} - x \right) \right], \\ \frac{\partial^2 W_y}{\partial y^2} &= - \left[ M_y - \frac{4vM_2}{b} \left( \frac{b}{2} - y \right) \right]. \end{aligned} \quad (6)$$

(6) დიფერენციალურ განტოლებების ინტეგრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრაციების შედმივები ნულის ორლი იქნება, რადგანაც ფირფიტის ჩაღუნვებს ვთვლით კოორდინატთა სათავეზე გამავალი შეა სიბრტყის პარალელური სიბრტყიდან და შევაჯამებთ (6) განტოლებების ინტეგრებიდან მიღებულ  $W_x$  და  $W_y$  გამოსახულებებს, მივიღებთ განსახილველი ფირფიტის სრული ჩაღუნვის ფორმულას:

$$W_x = -\frac{1}{EJ} \cdot \left[ M_2 \frac{x^2}{2} + \frac{4vM_1}{a} \left( \frac{x^3}{6} - \frac{ax^2}{4} \right) \right], \quad (7)$$

$$W_y = -\frac{1}{EJ} \cdot \left[ M_1 \frac{y^2}{2} + \frac{4vM_2}{b} \left( \frac{y^3}{6} - \frac{by^2}{4} \right) \right].$$

$$\begin{aligned} W &= -\frac{1}{EJ} \cdot \left[ M_2 \left( \frac{x^2}{2} + \frac{2vy^3}{3b} - vy^2 \right) + \right. \\ &\quad \left. + M_1 \left( \frac{y^2}{2} + \frac{2vx^3}{3b} - vx^2 \right) \right]. \end{aligned} \quad (8)$$

### 3. დასკვნა

ფირფიტების სუფთა დუნგის პლასიკური თეორიის ახლებურად გააზრებამ გვაჩვენა, რომ ფირფიტაზე ერთი მიმართულებით მოქმედი ძალებისაგან გამოწვეული მდუნავი მომენტები გავლენას ახდენს მართობული მიმართულების დაძაბულ მდგომარეობაზე და თუ პუასონის კოეფიციენტის მნიშვნელობებს მივიღებთ  $x$  და  $y$  დერქების მიმართულებით განსხვავებულს, მაშინ ფირფიტის კონტურზე სრულად კმაყოფილდება სასახლევრო პირობები.

ფირფიტის დუნგის დიფერენციალური განტოლება ჩაწერილია, რომლის ინტეგრებითაც მიღებულია ფირფიტის ჩაღუნვის გამოსახულება.

### ლიტერატურა

1. Тимошенко С.П., Войновский-кригер С. Пластинки и оболочки. Москва: Наука, 1966. -635 с.
2. Никифоров С.И. Теория упругости и пластичности. Москва, 1955. -284 с.
3. ბ. ბერიშვილი, რ. ჭუმიძე, რ. გომირგობიანი. ჭუმიძეს განხოგადებული კანონის კრიტიკული ანალიზი // სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტი”. № 1(33), თბილისი, 2009, გვ. 74-77.
4. ბ. ბერიშვილი, მ. თოდუა, რ. გომირგობიანი. წერტილში დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა ერთგვაროვანი გაჭიმვა-კუმულაციისას // სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა”. №3(6), თბილისი, 2007. გვ. 38-42.

**UDC 539.3**

### NEW APPROACH TO PLATES' PURE BEND

**N. Berishvili, T. Khmelidze, R. Giorgobiani**

Department of engineering mechanics, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered the classical theory of plates pure bend according to which the bending moments of one direction do not render influence on the state of stress in the perpendicular direction and on the strained state this influence is considered. Due to Poisson's ratio constant value deformations in  $x$  and  $y$  directions are accepted by constants, consequently boundary conditions at plate edges are not satisfied.

There are defined the ignored stresses in the cross-section direction, as the variables, also the bending moments, corresponding to these directions, are satisfied the boundary conditions for bending moments and are calculated corresponding deflections of plates.

**Key words:** plate; pure bend; extremal forces; boundary conditions; deflection.

**УДК 539.3**

### НОВЫЙ ПОДХОД К ЧИСТОМУ ИЗГИБУ ПЛАСТИНОК

**Беришвили Н.Ш., Хмелидзе Г.П., Гиоргобiani Р.Ш.**

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрена классическая теория чистого изгиба пластинок, согласно которой изгибающие моменты одного направления не оказывают влияния на напряжённое состояние в перпендикулярном направлении, а на деформированное состояние это влияние учитывается. Из-за постоянного значения коэффициента Пуассона деформации по направлениям  $x$  и  $y$  принимаются постоянными, в результате чего не выполняются граничные условия на краях пластинки.

Определены игнорированные напряжения в поперечном направлении, как переменные величины, также изгибающие моменты, соответствующие этим направлениям; удовлетворены граничные условия для изгибающих моментов и вычислены соответствующие прогибы пластинок.

**Ключевые слова:** пластина; чистый изгиб; внешние силы; граничные условия; прогиб.

მიღებულია დასაბუქდად 04.02.10

### შაპ 539.3

ზოგიერთი ფინანსდებობის სუფთა დუნგის დროს

6. ბერიშვილი, თ. ხმელიძე, რ. გიორგობაძინი

საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175,  
თბილისი, კოსტავას 77

E-mail: elitegeo2002@gmail.com


**რეზიუმე:** ფინანსდების სუფთა დუნგის დროს კლასიკურ თეორიაში მიღებული პუკის განზოგადებული კანონის გამომსახველი განზოგადებიდან განსაზღვრული ძაბვები რეალურად განსხვავდება გარე მომენტებისაგან წარმოქმნილ ძაბვებისაგან, რის გამოც მდუნავი მომენტებიც და ჩაღუნვებიც რეალურისაგან განსხვავდებულია. თუ პუკის განზოგადებული კანონის მარჯენა მხარეს მოთავსებულ სიდიდებს ჩავთვლით ძაბვებად, მაშინ ეს ძაბვები და მათ მიერ შედგენილი მდუნავი მომენტები უმცე ვერ დააკმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს ფირფიტის გვერდებზე, სადაც მდუნავი მომენტები ტოლი უნდა იყოს გარე დატვირთვების სახით მოქმედი მომენტებისა. ყოველივე ეს წინააღმდეგობანი გამოწვეულია იმით, რომ პუკასონის კოეფიციენტი მიღებულია, როგორც მუდმივი სიდიდე. ეს წინააღმდეგობანი აცილებულ იქნება თუ

მხედველობაში მიიღება  $v_x$  და  $v_y$  ცვლადი პუკასონის კოეფიციენტები.

**საკვანძო სიტყვები:** ფირფიტა; ძაბვა; მდუნავი მომენტი; პუკასონის კოეფიციენტი; სასაზღვრო პირობები.

### 1. შესავალი

ფირფიტის სუფთა დუნგი, რომელიც განხორციელებულია ფირფიტის გვერდების გასწვრივ განაწილებული  $M_1$  და  $M_2$  წყვილძალებით, პრაქტიკაში შედარებით იშვიათად გვხდება, მაგრამ ის ფირფიტების ზოგადი დუნგის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ მისი შესწავლისას მიღებული დასკვნები დიდ გავლენას ახდენს ფირფიტების განივი დუნგის თეორიაზე (ნახ. 1).



ნახ. 1

### 2. ძირითადი ნაწილი

წინააღმდებარე ნაშრომში მოტანილია ფირფიტების სუფთა დუნგის კლასიკური თეორია და პარალელურად მითითებულია იმ წინააღმდეგობებზე, რომელსაც ჩვენი აზრით ადგილი აქვს ზემოთ ხსენებულ თეორიაში.

$M_1$  და  $M_2$  გარე მდუნავი მომენტებისაგან გამოწვეული ძაბვები შესაბამისად იქნება:

$$\sigma_x = \frac{M_1 \cdot Z}{J} \quad \text{და} \quad \sigma_y = \frac{M_2 \cdot Z}{J}, \quad (1)$$

სადაც  $J$  არის ფირფიტის ერთეულის სიგანის ზოლის ინერციის მომენტი შეა სიბრტყეში მდებარე დერძების მიმართ.

ასევე შეიძლება დაიწეროს შემდეგი ტოლებები:

$$M_1 = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} \sigma_x \cdot z dz \quad \text{და} \quad M_2 = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} \sigma_y \cdot z dz . \quad (2)$$

ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის დამოკიდებულება განსაზღვრულია პუქის განზოგადბული კანონით [1, 2]:

$$\varepsilon_x = \frac{1}{E} (\sigma_x - v \sigma_y) \quad \text{და} \quad \varepsilon_y = \frac{1}{E} (\sigma_y - v \sigma_x) . \quad (3)$$

თუ (3) გამოსახულებიდან განვსაზღვრავთ ძაბვებს, მივიღებთ:

$$\sigma_x = \frac{E}{1-v^2} (\varepsilon_x + v \varepsilon_y) \quad \text{და}$$

$$\sigma_y = \frac{E}{1-v^2} (\varepsilon_y + v \varepsilon_x) . \quad (4)$$

ცნობილია, რომ ფარდობითი დეფორმაციები დაკავშირებულია გადუნებული ფირფიტის სიმრუდებთან შემდეგნაირად:

$$\varepsilon_x = -\frac{z}{\rho_1} \quad \text{და} \quad \varepsilon_y = -\frac{z}{\rho_2} , \quad (5)$$

ხოლო სიმრუდეები კი გამოისახება ფირფიტის ჩაღუნვის მეორე რიგის წარმოებულებით:

$$\frac{1}{\rho_1} = -\frac{\partial^2 w}{\partial x^2} \quad \text{და} \quad \frac{1}{\rho_2} = -\frac{\partial^2 w}{\partial y^2} , \quad (6)$$

აქედან გამომდინარე (4) გამოსახულებები მიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned} \sigma_x &= -\frac{E}{1-v^2} \left( \frac{\partial^2 w}{\partial x^2} + v \frac{\partial^2 w}{\partial y^2} \right) \cdot Z , \\ \sigma_y &= -\frac{E}{1-v^2} \left( \frac{\partial^2 w}{\partial y^2} + v \frac{\partial^2 w}{\partial x^2} \right) \cdot Z . \end{aligned} \quad (7)$$

მღუნავი მომენტები კი (2) ფორმულების მიხედვით დაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} M_1 &= -\frac{E}{1-v^2} \cdot \frac{h^3}{12} \left( \frac{\partial^2 w}{\partial x^2} + v \frac{\partial^2 w}{\partial y^2} \right) = \\ &= -D \left( \frac{\partial^2 w}{\partial x^2} + v \frac{\partial^2 w}{\partial y^2} \right) , \end{aligned} \quad (8)$$

$$\begin{aligned} M_2 &= -\frac{E}{1-v^2} \cdot \frac{h^3}{12} \left( \frac{\partial^2 w}{\partial y^2} + v \frac{\partial^2 w}{\partial x^2} \right) = \\ &= -D \left( \frac{\partial^2 w}{\partial y^2} + v \frac{\partial^2 w}{\partial x^2} \right) . \end{aligned}$$

$$\text{თუ (8)-დან განვსაზღვრავთ } \frac{\partial^2 w}{\partial y^2} \quad \text{და} \quad \frac{\partial^2 w}{\partial x^2}$$

მივიღებთ:

$$\frac{\partial^2 w}{\partial x^2} = -\frac{M_1 - v M_2}{D(1-v^2)} ;$$

$$\frac{\partial^2 w}{\partial y^2} = -\frac{M_2 - v M_1}{D(1-v^2)} . \quad (9)$$

(9) განტოლებების ინტეგრებით კი მიღება ფირფიტის ჩაღუნვის ას გამოსახულება იმის მხედველობაში მიღებით, რომ ინტეგრების მუდმივები ნების ტოლი იქნება:

$$w = -\frac{M_1 - v M_2}{2D(1-v^2)} x^2 - \frac{M_2 - v M_1}{2D(1-v^2)} y^2 . \quad (10)$$

გავანაალიზოთ მიღებული ფორმულები. როგორც, (1) ფორმულიდან ჩანს,  $\sigma_x$  და  $\sigma_y$  ძაბვები ნების ტოლი იქნება, თუ შესაბამისად  $M_1$  და  $M_2$  მომენტები ნების ტოლი იქნება. (4) გამოსახულებებიდან კი გამოდის, რომ თუ  $M_1=0$  და  $M_2 \neq 0$ , მაშინ  $\sigma_x \neq 0$ , რადგანაც  $v \varepsilon_y \neq 0$ . ასევე თუ  $M_1 \neq 0$  და  $M_2=0$ , მაშინ  $\sigma_y \neq 0$ , რადგანაც  $v \varepsilon_x \neq 0$ . აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ (3) განტოლებებიდან განსაზღვრული (4)-ს შესაბამისი ძაბვები არ არის (1) გამოსახულებებიდან მიღებული ძაბვები, თუმცა ისინი იდენტურადაა მინერული. მაშასადამე, ამ ძაბვებით განსაზღვრული მღუნავი მომენტებიც ვერ იქნება რეალური, მღუნავი მომენტების გამომსახველი. თუ (3) გამოსახულებებში მარჯვენა მხარეში მოთავსებულ სიდიდეებს ჩავთვლიდით ძაბვებად ე.ი.:

$$\sigma'_x = \sigma_x - v \sigma_y \quad \text{და} \quad \sigma'_y = \sigma_y - v \sigma_x \quad (11)$$

მღუნავი მომენტები დაიწერებოდა შემდეგნაირად:

$$M_x = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} (\sigma_x - v \sigma_y) \cdot z dz = M_1 - v M_2 ,$$

$$M_y = \int_{-\frac{h}{2}}^{\frac{h}{2}} (\sigma_y - v \sigma_x) \cdot z dz = M_2 - v M_1 . \quad (12)$$

მაგრამ (12)-ის მიხედვით მღუნავი მომენტები  $x$  და  $y$  დერების გასწროვ მუდმივი გამოდის, ე.ი. ვერ დააგმაყოფილებს სასაზღვრო პირობებს ფირფიტის გვერდებზე, სადაც მღუნავი მომენტები უნდა იყოს  $M_1$  და  $M_2$ -ის ტოლი. მაშასადამე  $M_2$ -ის გავლენა  $x$  დერების მიმართულებით მოქმედ ძაბვებზე და მაშასადამე მღუნავი მომენტებზე მუდმივი არ უნდა იყოს, არამედ დამოკიდებული უნდა იყოს  $x$  ცვლადზე, ასევე  $M_1$ -ის გავლენაც  $y$  დერების მიმართულებით დამოკიდებული უნდა იყოს  $y$  კოორდინატზე. ეს პირობები კი მაშინ დაკმაყოფილდება, როცა  $v$  პუქის კოეფიციენტის ნაცვლად მხედველობაში იქნება მიღებული ცვლადი  $v_x$  და  $v_y$  პუქის კოეფიციენტი [3, 4].

### 3. დასკვნა

წარმოქმდება თეორიულმა პელევამ გვიჩვენა, რომ ფირფიტების სუფთა დუნცის დროს კლასიკურ თეორიაში მიღებული ჰქონის განხოგადებული კანონის გამომსახველ განტოლებებიდან განსაზღვრული ძაბვები რეალურად განსხვავდება გარე მომენტებისაგან წარმოქმნილი ძაბვებისაგან, რის გამოც მდუნავი მომენტებიც და ჩაღუნვებიც რეალურს არ შეესაბამება. ამის გარდა, სასაზღვრო პირობებიც არ კმაყოფილდება ფირფიტის გვერდებზე, სადაც მდუნავი მომენტები ტოლი უნდა იყოს გარე დატვირთვების სახით მოქმედი მომენტებისა. აღნიშნული წინააღმდეგობების საფუძველი არის პუასონის კოეფიციენტის მუდმივობა რაც და უ დერქების მიმართ. ეს წინააღმდეგობები ადარ იარსებებს, თუ მხედვებ-

ლობაში მიღებული იქნება  $v_x$  და  $v_y$  ცვლადი სიდიდის პუასონის კოეფიციენტები [3, 4].

### ლიტერატურა

1. Тимошенко С.П., Войновский-Кригер С. Пластиинки и оболочки. Москва: Наука, 1966. -635 с.
2. Никифоров С.И. Теория упругости и пластичности. Москва, 1955. -284 с.
3. ბ. ბერიშვილი, რ. ჭეოიძე, რ. გოორგობიანი. ჰქონის განხოგადებული კანონის კრიტიკული ანალიზი // სამეცნიერო უსრბალი “ინტელექტი”. №1(33), თბილისი, 2009. გვ.74-77.
4. ბ. ბერიშვილი, მ. თოდუა, რ. გოორგობიანი. წერტილში დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა ერთგვაროვანი გაჭიმვა-კუმულაციას//სამეცნიერო-ტექნიკური უსრბალი “მშენებლობა”. №3(6), თბილისი, 2007. გვ. 38-42.

**UDC 539.3**

## SOME CONTRADICTIONS IN THE THEORY OF PLATES PURE BEND

**N. Berishvili, T. Khmelidze, R. Giorgobiani**

Department of engineering mechanics, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** Stresses, defined from Hooke's generalized law, as it is accepted in the classical theory of plates pure bend, differ from the real pressure, which has resulted by undergoing of the external moments. Therefore the received bending moments, as well as deflections of plates, turn out unreal. If we accept for the stresses the values consisting in the right part of the equations of Hooke's generalized law, the received bending moments do not satisfy to boundary conditions at plate edges, where the bending moments should be equaled to the external bending moments. These contradictions are caused by the accepted constant Poisson's ratio. The above-mentioned contradictions will be eliminated due to enter variable coefficients  $v_x$  and  $v_y$ , depending from  $x$  and  $y$  co-ordinates.

**Key words:** plate; pressure; bending moment; Poisson's ratio; boundary conditions.

**УДК 539.3**

## НЕКОТОРЫЕ ПРОТИВОРЕЧИЯ В ТЕОРИИ ЧИСТОГО ИЗГИБА ПЛАСТИНОК

**Беришвили Н.Ш., Хмелидзе Т.П., Гиоргобиани Р.Ш.**

Департамент инженерной механики, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Напряжения, определенные из обобщенного закона Гука, как принято в классической теории чистого изгиба пластинок, отличаются от реальных напряжений, возникших в результате действия внешних моментов. Поэтому полученные изгибающие моменты, как и прогибы пластинок, получаются нереальными. Если же принять за напряжения величины, стоящие в правой части уравнений обобщенного закона Гука, то полученные изгибающие моменты не удовлетворяют граничным условиям на краях пластинки, где изгибающие моменты должны равняться внешним изгибающим моментам. Эти противоречия обусловлены принятым постоянным коэффициентом Пуассона. Вышеуказанные противоречия будут устранены, если ввести переменные коэффициенты  $v_x$  и  $v_y$ , зависящие от координат  $x$  и  $y$ .

**Ключевые слова:** пластинка; напряжение; изгибающий момент; коэффициент Пуассона; граничные условия.

**მიღებულია დასაბუქდად 01.02.10**

**უაგ 681.45**

**კონფრონტისა და მართვის პრაკტიკური სისტემები ვიზუალური გამოყენებისათვის**  
**ლ. ბერიძე**  
 სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, ქოსტავას 77

E-mail: nicadadu@mail.ru

**რეზიუმე:** დამუშავებულია კონტროლისა და მართვის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემა ვიზუალურისათვის და ის წარმოდგენილია, როგორც მანქანა-დანადგარების განუყოფელი ნაწილი. ის საშუალებას იძლევა დაღინდეს დახურულ კამერაში შექმნილი წნევის პარამეტრები, განხორციელდეს მანქანა-დანადგარებში მიმდინარე მუშა პროცესის მართვა და კონტროლი. წარმოდგენილი საკონტროლო ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემა ვიზუალურისათვის საშუალებას იძლევა გაზომვები ჩატარდეს მაღალი სიზუსტით დიდი წნევის დიაპაზონში; ექსპერიმენტული კვლევების შედეგად წარმოდგენილია წნევის გავრცელების კანონზომირებები ლაზერის სხივის სხვადასხვა ენერგიის დროს.

**საკვანძო სიტყვები:** ლაზერი; ენერგია; ვიზუალური; წნევის გარდამქმნელი; ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემა.


**1. შესავალი**

ლაზერული ვიზუალური ზენები მოწყობილობების პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ პერსპექტიულია, რადგან მათ მოქმედების დიდი დიაპაზონი გააჩნიათ, მუშაობის შესაძლებლობა, როგორც მაღალ, ასევე დაბალ სიხშირეებზე, კომპიუტერის სრული ავტომატიზაცია, მაგრამ არსებულ მოწყობილობაში არ ხორციელდება ვიზრიების პროცესის კონტროლი [1].

**2. ძირითადი ნაწილი**

ჩვენ მიერ შემოთავაზებულია კონტროლისა და მართვის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემები, რომლებიც მოწყობილობის კონტროლისა და მართვის საშუალებას იძლევა ვიზრიების პროცესში.

1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია აღნიშნული სისტემა ლაზერული ვიზუალურისათვის. ის შედგება: სამუშაო კამერისაგან 1, რომელიც შევსებულია ცილინდრის სახით, დგუშებისაგან 2, კამერა 1 შევსებულია სამუშაო სითხით 3, სამუშაო კამერის 1 შიგნით განლაგებულია მაღალი დაწნევის ელასტიკური კამერა 4, რომელიც შევსებულია ადვილად იონიზირებადი ნივთიერებისაგან 5 (მაგალითად, წყალი), იმპულსური ლაზერისაგან 6, ძალოვანი ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარებისაგან 7 და 8 ჩალიზებისაგან, ავტოკალიმაციური შედგენილი პრიზმებისაგან 9, მილისაგან 10, მაფოუსირებელი ლინზისაგან 11, ფოტომიმდებისაგან 12 და ობიექტივისაგან 13, რომელიც დგას ფოტომიმდებსა 12 და ავტოკალიმაციურ შედგენილ პრიზმას 9 შორის და ოპტიკურად აკაგშირებს მათ. პროცესორის 14 და ინფორმაციის ამსახველი ბლოკისაგან 15 დგუშებს გააჩნიათ სადები 16 წნევის შესანარჩუნებლად. პროცესის მაკონტროლებელი სისტემა შედგება წნევის გარდამქმნელისაგან 17, რომელიც ჩადგმულია სამუშაო კამერაში 1, და შეიცავს კვარცულ მემბრანას 18, ინტერფერომეტრის დრუს 19, კვარცულ ფირფიტას 20 და ლინზას 21, სინათლის წყაროსაგან 22, ძალოვანი ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარების პირველი, მეორე და მესამე ჩალიზებისაგან 23, 24, 25, ავტოკალიმაციური შედგენილი პრიზმისაგან 26, სარკისაგან 27, რომელიც განთავსებულია ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარის მესამე 25, ჩალიზის გამოსავალ ტორსზე, ფოტომიმდებისაგან 28, მაფოუსირებელი ობიექტივისაგან 29, რომელიც მოთავსებულია ფოტომიმდებსა 28 და ავტოკალიმაციურ ბლოკს 26, შორის და ოპტიკურ კავშირშია მათთან, პროცესორისა 30 და ინფორმაციის ამსახველი ბლოკისაგან 31, პროცესორი 30, ელექტრულ კავშირშია სინათლის წყაროსთან 22.



**ნახ.1. ლაზერული გიბრატორის კონტროლისა და მართვის  
ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის სქემა**


მოწყობილობა მუშაობს შემდეგნაირად: კამერას 1 ავსებენ სამუშაო სითხით, ასევე მაღალი დაწევის ელასტიკურ კამერას ადგილად ავსებს იონიზირებადი სითხით 5. რთავენ ლაზერს 6, რომელიც გენერირებს ლაზერული გამოსხივების დიდი სიმძლავრის იმპულსს. ლაზერის 6 გამოსხივება ძალოვანი ბოჭკოვან-ოპტიკური შექსატარების ჩაღიერების 7 და 8, ავტოკალიმატიური შედგენილი პრიზმის 9 და მაფოკუსირებელი ლინზის 11 სამუალებით ფოკუსირდება მაღალი დაწევის ელასტიკური კამერის 4 ცენტრში, სადაც ფოკუსირების არეში ადგილად იონიზირებადი ნივთიერება მყისიერად გადადის ერთი აგრეგატული მდგომარეობიდან მეორეში, რაც მიკროავეთქებას იწვევს, ე.ო. შეიქმნება დარტყმის ტალღები და იმპულსური წნევა, რაც თავის მხრივ აფართოებს მაღალი დაწევის ელასტიკურ კამერას 4. მაღალი დაწევის ელასტიკური კამერის 4 გაფართოება იწვევს სამუშაო კამერაში წნევის გაზრდას, რის გამოც დგუშები პირდაპირ გადაადგილდება. გაფართოება წყდება მაშინ, როდესაც დარტყმის ტალღები და მექანიკური წნევა მიიღევა, ხოლო მაღალი დაწევის ელასტიკური კამერის 4 მოცულობა და დგუშები 2 უბრუნდება თავის საწყის მდგომარეობას. პლაზმის გამოსხივება და ლაზერის გამოსხივების ანარეალი ძალოვანი

ბოჭკოვან-ოპტიკური შექსატარების ჩაღიხის 8 ავტოკალიმატიური შედგენილი პრიზმის 9, ობიექტივის 13 საშუალებით მოხვდება ფოტომიმდებში 12, სადაც ის გარდაიქმნება ელექტრულ სიგნალი და გადაეცემა პროცესორსა 14 და ინფორმაციის ამსახველ ბლოკს 15, მიღებული სიგნალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვიბრაციის პროცესის მართვისათვის და ელასტიკურ კამერაში პროცესის კონტროლისათვის.

ვიბრატორის მუშაობის კონტროლი ხორციელდება შემდეგნაირად: მუშაობის დაწევიდან იმპულსური ლაზერის 6 ჩართვისას იმავდროულად ირთვება სინათლის წყარო 22. სინათლის წყაროს 22 გამოსხივება პირველი ჩაღიხის შექსატარის 23, გავლით ხვდება ავტოკალიმატიურ შედგენილ პრიზმაში 26, სადაც სხივი ორ ნაწილად იყოფა. მეორე ჩაღიხის შექსატარის 24 გავლით სხივის ნაწილი მიეწოდება სამუშაო კამერაში 1 ჩადგმულ წნევის გარდამქმნელს 17, სხივის მეორე ნაწილი მესამე ჩაღიხის ბოჭკოვან-ოპტიკური შექსატარის 25 გავლით ხვდება სარკებზე 27, საიდანაც არეალილი სხივი ბრუნდება უკან და ავტოკალიმატიური ბლოკის 26 მაფოკუსირებელი ობიექტივის 29, ფოტომიმდების 28 გავლით ხვდება პროცესორში 30 და შემდეგ ინფორმაციის ამსახველ ბლოკში 31. მიკროავეთქების პროცესში წნევის გარდამქმნე-

ლებში 17 მოხვედრილი სხივი მაფოკუსირებელი ლინზის 21, ხისტი კვარცული ფირფიტის 20 ინტერფერენციული ღრუს 19 გავლით ხვდება მემბრანაზე 18, ლინზა 21 აფოკუსირებს არეკლილ სხივს და აბრუნებს უკან, ადგილი აქვს სხივის ორმაგ სვლას. რადგან მიკროაფეთქების შედეგად წარმოშობილი დარტყმითი ტალღების წევ-

ვის ზემოქმედებით მემბრანა 18 დეფორმირებულ მდგომარეობაშია, ამიტომ იცვლება სხივის ოპტიკური სიგრძე და ადგილი აქვს ინტერფერენციას, რაც აისახება სხივის მიმდევ მოწყობილობაში. მიღებული სიგნალის საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს აფეთქების კერაში წნევის სიდიდე.




ნახ. 2. ლაზერული ვიბრატორის კონტროლისა და მართვის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის სქემა

მე-2 ნახაზე წარმოდგენილია კონტროლისა და მართვის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემა ლაზერული ვიბრატორული აღმგზნები სიღრმითი ტიპის ვიბრატორისათვის. ის შედგება: სამუშაო კამერისაგან 1, რომელიც შევსებულია სამუშაო სითხით 2, სამუშაო კამერის 1 შიგნით ჩადებულია მადალი დაწნევის ელასტიკური კამერა 3, რომელიც შევსებულია აღვილად იონიზირებადი ნივთიერებისაგან მაგალითად, წყალი 4, იმპულსური ლაზერისაგან 5, ძალოვანი ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარების 6 და 7 ჩალიჩებისაგან, ავტოკალიმაციური შედგენილი პრიზმებისაგან 8, მილისისაგან 12, რომელიც დგას ფოტომიმღებსა 11 და ავტოკალიმაციურ შედგენილ პრიზმას 8 შორის და ოპტიკურად აკავშირებს

მათ, პროცესორისა 13 და ინფორმაციის ამსახველი ბლოკისაგან 14. ვიბრატორის მაკონტროლებელი სისტემა შედგება: წნევის გარდამქნელისაგან 15, რომელიც ჩადგმულია სამუშაო კამერაში 1 და შეიცავს კვარცულ მემბრანას 16, ინტერფერენციალის ღრუს 17, კვარცულ ფირფიტას 18 და ლინზას 19, სინათლის წყაროსაგან 20, ძალოვანი ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარის პირველი, მეორე და მესამე ჩალიჩებისაგან 21, 22, 23, ავტოკალიმაციური შედგენილი პრიზმებისაგან 24, სარკისაგან 25, რომელიც განთავსებულია ბოჭკოვან-ოპტიკური შუქსატარის მესამე 23 ჩალიჩის გამოსავალ ტორსზე, ფოტომიმღებისაგან 26, მაფოკუსირებელი ობიექტივისაგან 27, რომელიც მოთავსებულია ფოტომიმღებსა 26 და

ავტოგალიმაციურ ბლოკს 27 შორის და ოპტიკურად კავშირშია მათთან, პროცესორსა 28 და ინფორმაციის ამსახველი ბლოკისაგან. პროცე-

სორი 28 ელექტრულ კავშირშია სინათლის წყაროსთან 20.



ნახ. 3. წნევის გავრცელების კანონზომიერებები

მე-3 ნახაზზე მოცემულია წნევის გავრცელების კანონზომიერებები ლაზერის სხივის სხვადასხევის ენერგიის დროს, საიდანაც ლაზერული მიკროავტექებისას ჩანს, რომ წნევის გავრცელების ფორმა ყოველთვის ერთი და იგივეა, მხოლოდ ენერგიის ცვლილებასთან ერთად წნევის ამპლიტუდა და ხანგრძლივობა იცვლება.

წნევის მიკროავტექების პარამეტრები შესწავლით იქნა შემდეგ პირობებში: რეაქტორის მოცულობა იცვლებოდა  $0.0510^{-4}$  გ<sup>3</sup>-დან  $2 \cdot 10^{-4}$  გ<sup>3</sup>-მდე. ლაზერის სხივის იმპულსის პარამეტრები იყო: ტალღის სიგრძე  $\lambda=1.02$  მკმ. იმპულსის ენერგია იცვლებოდა  $E=50$  ჯ-დან  $E=1000$  ჯ-მდე. იმპულსის ხანგრძლივობა  $\tau=4 \cdot 10^{-4}$  გ.

მიღებული გრაფიკების საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს წნევის ამპლიტუდა, წნევის ხანგრძლივობა და მისი ცვლილების კანონის ფორმა.

წნევის ამპლიტუდის ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$P_0 = U/S,$$

სადაც  $U$  არის სიგნალის ძაბვის ამპლიტუდა;  $S$  – გამზომი მოწყობილობების მგრძნობელობა.

წნევის ხანგრძლივობა 12 მლწმ-ს შეადგენს, ხოლო მისი ცვლილების კანონის ფორმა თითქმის ერთნაირია.

სხივის ფოკუსირების ცენტრში შექმნილი წნევა შეიძლება განისაზღვროს მოვლენის ელექტროდინამიკური ხასიათის ანალიზით. ელექტროსტრიქიციული წნევა გამოისახება შემდეგი ფორმულით:

სადაც  $E'$  არის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ელექტრული კომპონენტის დაძაბულობა;  $\varepsilon$  – გარემოს დიელექტრული შეღწევადობა;  $\rho$  – გარემოს სიმკვრივე. ელექტრული ველის დაძაბულობა ტოლია

$$E' = 1.1 \cdot 10^4 \frac{\sqrt{W}}{a},$$

სადაც  $W$  არის ლაზერის გამოსხივების სიმძლავა;  $a$  – ფოკუსირებული რადიუსი.

$\rho \left( \frac{\partial \varepsilon}{\partial \rho} \right)_s$  – სიდიდე მუდმივია, წყლისათვის არის 0.9 [2].

გამოთვლებით დადგინდა, რომ წნევა ფორმა სირების ცენტრში  $10^{10} \dots 10^{11}$  პა-ს აღწევს.

### 3. დასკვნა

კონტროლისა და მართვის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემა უზრუნველყოფს ვიბრაციონულ მუშაობის პროცესის კონტროლსა და მართვას. გარდა ამისა, აღნიშნული კონტროლისა და მართვის ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხევის დანადგარში.

### ლიტერატურა

1. ბახტაძე, მ. წიქარიშვილი. პიდრავლიკური ვიბროალგზები საქართველოში №2001697, 1992
2. Коваленко В.С. Обработка материалов импульсным излучением лазеров. Киев: Высшая школа, 1977г. - 144с.

---

**UDC 681.45**

**CONTROL AND MONITORING FIBROUS-OPTICAL SYSTEMS FOR VIBRATOR**

**L. Beridze**

Department of civil and industrial building, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is developed control and monitoring fibrous-optical systems for vibrator and It is presented as an integral part of machines and plants. It enables us to define the parameters of the pressure created in closed chamber, to manage and control the working process inside the device. The control system will give us an opportunity to carry out the tests maximum accuracy.

**Key words:** lazer; energy; vibrator; pressure transformation; fibrous-optical system.

---

**УДК 681.45**

**ВОЛОКОННО-ОПТИЧЕСКИЕ СИСТЕМЫ ВИБРАТОРОВ ДЛЯ КОНТРОЛЯ И УПРАВЛЕНИЯ**

**Беридзе Л.Н.**

Департамент гражданского и промышленного строительства, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Разработана система для вибраторов волоконно-оптического контроля и управления как неотделимая часть машинных установок. Она даёт возможность установить параметры созданного в закрытой камере давления, произвести управление и контроль происходящего в устройстве рабочего процесса. Представленная контрольная система даёт возможность провести измерение с высокой точностью в диапазоне большого давления.

**Ключевые слова:** лазер; энергия; вибратор; преобразователь давления; волоконно-оптическая система.

---

*გილეად ულიას დანადგვირავ 13.12.10*

# სამთო-გეოლოგიის სექცია

უაკ 551.49:553.7

სუვერენიტეტის ნავთობსაძიებო მოედნის პიდროგეოლოგიური ჟრილი, პროცესის დაბლობზე პიდროგეოლოგიური ინვერსიის გამოხატულება

ხ. ავალიანი, უ. ზვიადაძე\*

გეოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: u\_zviadadze@gtu.ge

**რეზიუმე:** მსხვილი არტეზიული სტრუქტურის ფარგლებში მიწისქვეშა წყლების გავრცელების პიდროგეოქიმიური ზონალურობა წყლის გენეტიკური ტიპების კანონზომიერ ცვლაში გამოიხატება, დაწყებული პიდროგარბონატულ-კალციუმიანი მტკნარი წყლებიდან (ჭრილის ზედა ფენებში), მომატებული მინერალიზაციის სულფარტურ-ნატრიუმიანი წყლების ზონის გავლით, დამთავრებული მაღალმინერალიზებულ ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყლებით, რომლებიც ვერტიკალური ჭრილის ღრმად დაძირულ ფენებთან არის დაკავშირებული. პიდროგეოქიმიური ზონალურობა ძირითადად პიდროგინამიკური და ქანების ლითოლოგიურ-ფაციალური ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგია, თუმცა, არცოუ იშვიათად, მიწისქვეშა წყლებისთვის დამახასიათებელი, მაკაფიოდ გამოხატული ვერტიკალური პიდროგეოქიმიური ზონალური დარღვეულია ე.წ. პიდროგეოქიმიური ინვერსიის მიზეზით, როდესაც უფრო ღრმად განლაგებულ ფენში წყლის მინერალიზაცია ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ზედა ფენებში, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. ამ მხრივ გამოხალისი არც კოლხეთის ვრცელი არტეზიული აუზია, რომლის ფარგლებშიც პიდროგეოქიმიური ინვერსიის უტყუარი არსებობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი წინამდებარე ინფორმაციაა.

**საკვანძო სიტყვები:** პიდროგეოქიმიური ინვერსია; ნავთობსაძიებო სტრუქტურა; მიწისქვეშა წყლების ზონალურობა; მიკროკომპონენტები; სამრეწველო წყლები.

## 1. შესავალი

მიწისქვეშა წყლების შესახებ სწავლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკად. ვ. ვერნადსკი [1] თვლიდა, რომ ვერტიკალური პიდროგეოქიმიური ზონალურობა მიწისქვეშა აორთქლების პროცესების შედეგია, თუმცა, შემდგომმა გამოკვლებმა [2, 3, 4] ეს მოსაზრება არ დაადასტურა. მ. ალტოვსკი [5] მიიჩნევს, რომ უნდა განვასხვა-

ვოთ ვერტიკალური პიდროგეოქიმიური ზონალურობის ორი სახეობა. პირველი აღვილი შესამჩნევია ღრმა ჭაბურღილების ბურღვის და დასინჯვის პროცესში. მას მ. ალტოვსკი დაშრევების ვერტიკალურ ზონალურობას უწოდებს, ხოლო მეორე – წყალშემცველი ფენის დაქანების მიმართულებით აღინიშნება და მას ფენური ზონალურობა ჰქვია. ამიტომ მიწისქვეშა წყლების ქიმიური შედეგენილობის ფორმირების საკითხის შესწავლაში უპირატესი როლი სწორედ ფენურ ზონალურობას ენიჭება. ბუნებაში, როგორც წესი, მკაფიო და მკვეთრი საზღვრები სხვადასხვა პიდროგეოქიმიურ ზონებს შორის არ აღინიშნება [6]. მიწისქვეშა წყლების ქიმიური შედეგენილობა, განსაკუთრებით ერთსა და იმავე წყალშემცველი პორიზონების გავრცელებაზე თანდათანობით იცვლება. ამიტომ, გარდა პიდროგეოქიმიური ზონებისა, გამოყოფები პიდროგეოქიმიურ სარტყელს, რომელიც ზონების ერთგვარი შერწყმა და აისახება პიდროგეოქიმიური ჭრილის აუზის დანალექი საფარის მთლიან სიმძლავრეზე [7].

პიდროგეოქიმიური ზონების შერწყმა მრავალგვარია, რაც პირდაპირ, შექცეულ, ცვალებად ან როგორ ზონალურობას წარმოქმნის [8]. თუ პირდაპირი ზონალურობა სიღრმის კვალობაზე მიწისქვეშა წყლების საერთო მინერალიზაციის განუხრელ, კანონზომიერ მატებას გულისხმობს (ქიმიური ტიპის ცვლილებასთან ერთად), შექცეული ზონალურობა, ანუ პიდროგეოქიმიური ინვერსია სიღრმეში წყლის მინერალიზაციის შემცირებაში გამოვლინდება. მსგავსი მაგალითები ბუნებაში მრავლდათა [9, 10], ხოლო კოლხეთის არტეზიული აუზი აღნიშნული მოვლენის ტიპურ მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს [11, 12, 13].

ამჯერად, ჩვენი ამოცანა არ არის კოლხეთის დაბლობის ფარგლებში ზოგადად პიდროგეოქიმიური ინვერსიის საკითხის რეგიონალურ ჭრილში განხილვა. შემოვიფარგლებით მხოლოდ ცალკე აღებული ობიექტის, კერძოდ, სუვერენიტეტის ნავთობსაძიებო მოედნის მიწისქვეშა წყლების დახასიათებით, როგორც კონკრეტული

მაგალითისა, თუ როგორ ვლინდება ნახშირწყალბადების ბუდობების ლოკალიზაციის უბნებზე ვერტიკალური პიდროგეოქიმიური ზონალურობის ინვერსიულობის მოვლენა.

## 2. ძირითადი ნაწილი

მიუხედავად, ჩატარებული დინამიკური გამოკლევებისა [1, 3, 7, 9] სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის ელემენტების საექსპლუატაციო მუშაობის საიმედოობას ვერ მიეცა სათანადო რაოდენობრივი შეფასება. სახელი შეერთებების ელემენტების ვარგისიანობაზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ ვაგონის შეკეთებათშორისი ვადის გასვლის შემდეგ, სადეპორ ან საქარხნო შეკეთების ჩატარებისას სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. ვაგონმშენებელ და ვაგონშემკეთებელ საწარმოებს არ გააჩნიათ მეცნიერულად ჩამოყალიბებული ინსტრუქციები სამუხრუჭო გადაცემის ელემენტების საექსპლუატაციო მუშაობის შესახებ. წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა, გადაიჭრას აქტუალური ამოცანა – ალბათობის ზოგად თეორიაზე [4] და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვროს სამუხრუჭო გადაცემის ელემენტების უმტყუნებო საექსპლუატაციო მუშაობის მაჩვენებლები, რაც აუცილებელია სავაგონო საწარმოებში შესაკეთებელი ელემენტების მარაგისა და ხარისხის დაგენისათვის.


**2. ძირითადი ნაწილი**

ამოცანის გადაწყვეტის მიზნით განვიხილავთ სამგზავრო ვაგონის ოპტიმალური სამუხრუჭო ბერკეტული გადაცემის სამუხრუჭო კვანძის დინამიკურ მოდელს (ნახ. 1) ღრებობით სამ 1-2, 2-3 და 3-4 სახელი შეერთებებში. მოდელის მიხედვით შეერთებათა გარე ელემენტების C, D, P და შიგა ელემენტების C<sub>1</sub>, D<sub>1</sub>, P<sub>1</sub> ცენტრების შემაერთებელი CC<sub>1</sub>, DD<sub>1</sub> და PP<sub>1</sub> წრფების გასწვრივ სა-

კონტაქტო  $C_2$ ,  $D_2$  და  $P_2$  წერტილებში მოქმედებს ნორმალური  $F_1^n$ ,  $F_2^n$ ,  $F_3^n$  რეაქციის ძალები და შესაბამისი ტანგენტური შემდგენები ანუ ხახუნის  $F_{fr}^{1-2}$ ,  $F_{fr}^{2-3}$ ,  $F_{fr}^{3-4}$  ძალები.

შეერთებათა  $\Delta_i$  ცვეთები არის ელემენტების რადიუსთა სხვაობა, ე. ი.

$$\begin{aligned}\Delta_1 &= r_1 - r'_1; \\ \Delta_2 &= r_2 - r'_2; \\ \Delta_3 &= r_3 - r'_3.\end{aligned}\quad (1)$$



ნახ. 1. სამგზავრო ვაგონის სამუხრუჭო კვანძის დინამიკური მოდელი დრენებით სახსრულ შეერთებებში

წარმოდგენილი დინამიკური მოდელის მიხედვით განსაზღვრულია ყველა დასაშვები დინამიკური პარამეტრის მნიშვნელობა [9] და მათ შორის მაგალითისათვის 1-2 სახსრულ შეერთებაში ნორმალური რეაქცია

$$\begin{aligned}F_1^n = & \left\{ m_1 \sin \varphi \left[ r \omega^2 \cos \alpha - \ddot{x}_1 + \frac{l_1}{2} (\ddot{\varphi} \sin \varphi + \dot{\varphi}^2 \cos \varphi) \right] - \right. \\ & - |z| F_{BC} \sin \varphi - m_1 g \cos \varphi - \frac{m_1}{6} \ddot{\varphi} - \\ & m_1 \cos \varphi \left[ \ddot{y}_1 + \frac{l_1}{2} (\ddot{\varphi} \cos \varphi - \dot{\varphi}^2 \sin \varphi) \right] \left[ 2 \sin \delta + \right. \\ & \left. + 2 \sin \delta_1 (K_{fr1} \operatorname{sign} \dot{y}_1 + K_{fr2} \dot{y}_1 + K_{fr3} \dot{y}_1^2) \right]^{-1}, \quad (2)\end{aligned}$$

სადაც  $x_i, y_i$ ,  $\gamma_i$  არის ცვლადი განზოგადებული კოორდინატები;

$\alpha, \varphi$  – ამძრავი და  $l_1$  ბერკეტის მობრუნების კუთხეები;

$K_{fri}$  – მშრალი, სეელი და კვადრატული ხახუნის კოეფიციენტები.

გადაცემის საიმედო მუშაობისათვის აუცილებელია მისი დინამიკური დატვირთვა თავსდებოდეს დასაშვებ ზღვრებში. ამავე დროს სახსრული შეერთებების ელემენტებს უნდა გააჩნდეთ უმტკუნებო მუშაობის ალბათობის ზღვრუ-

ლი დონე. ის შეიძლება განისაზღვროს შეკეთების ნორმების შესაბამისად, სახსრული შეერთების ელემენტების ცვეთების მიზეზით გამოწვეული მტკუნებების გამოვლენის მომენტამდე, განაწილების სიმკვრივის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$f(t) = \sqrt{2\pi}^{-1} \exp \left\{ -\frac{[C - Mx(t)]}{2\delta_x^2(t)} \right\} \left[ \frac{C - Mx(t)}{\delta_x(t)} \right], \quad (3)$$

სადაც  $C$  არის  $i$ -ური შეერთების უმტკუნებო მუშაობის ზღვრული დონე, დადგენილი შეკეთების პერიოდის მიხედვით;

$x$  – დისკრეტული შემთხვევითი სიდიდე (მისი ალბათობა არ უდრის 1-ს);

$Mx(t)$  – მათემატიკური მოდელიდინი, ანუ წინასწარ შედგენილი განტოლება, რომლითაც აღიწერება ელემენტების ცვეთები ექსპლუატაციისას. ის განისაზღვრება მოდელის (ნახ. 1) მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების ამონებით;

$\delta_x$  – სახსრული შეერთებების ერთსახელა ელემენტების ცვეთების ტემპის განხნევის (დისკრესიის) საშუალო კვადრატული გადახრა. ერთსახელა ელემენტებია 2-3 და 3-4 შეერთების ლილგაკები კვეთების  $r'_1$  და  $r'_3$  რადიუსებით ( $r'_1 = r'_3 = 40$  მმ), ასევე გარე ელემენტები  $r_2$ ,  $r_3$  რადიუსებით.

(3) ფორმულიდან შეიძლება მივიღოთ სახსრული შეერთებების ელემენტების უმტკუნებო მუშაობის ალბათობის გამომსახველი ტოლობა:

$$P(t) = 1 - \int_0^t f(t) dt. \quad (4)$$

მათემატიკური მოდელინის აღწერა შესაძლებელია პიპოგეომეტრიული განაწილების სპეციალურის მიხედვითაც. ამ დროს სახსრული შეერთებების დაფექტური ელემენტების რაოდენობის ალბათობა განისაზღვრება ტოლობით:

$$P_{N,M}(n,k) = C_m^k C_{N-M}^{n-k} / C_N^n, \quad (5)$$

სადაც  $k$  არის ელემენტების საერთო რაოდენობა გადაცემაში ( $k = 1, 2, 3, \dots, n$ );

$N$  – ელემენტების საერთო რაოდენობა ვაგონზე;

$M$  – შესაცვლელი (დეფექტური) ელემენტების რაოდენობა ვაგონზე.

თუ  $N$  სიდიდე რამდენჯერმე აღემატება  $n$  სიდიდეს, მაშინ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ბინომიალური განაწილების ფორმულა:


$$P(n,k) = C_n^k \left( \frac{M}{N} \right)^k \left( 1 - \frac{M}{N} \right)^{n-k}. \quad (6)$$

სამუხრუჭო კვანძის (ნახ. 1) სახსრული შეერთებების ელემენტების უმტკუნებო საექსპლუატაციო მუშაობის ალბათობის დადგენის მიზნით


მხედველობაში მიღებულ იქნა შიგა ელემენტის (ლილგაკის) და შესაბამისი ბერკეტის ან წევის მასალის მარკა სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით, ასევე ელემენტების შეზეთვა, ზეთის სახეობა, ელემენტების ფრიქციული ზედაპირების დამუშავების ტექნიკულოგია და ა.შ. მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლებელი გახდა სახერული შეერთებების ელემენტების შერჩევა ამ ელემენტების მასალის სახეობის, მისი სიმტკი-

ცისა და ფრიქციული მუშა ზედაპირების მახასიათებელი ცვეთების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანია გადაცემის დაგეგმარების ან მოდერნიზების დროს.

სტატისტიკური მონაცემებისა და (1)-(6) ტოლობების მიხედვით მიღებულ იქნა დამოკიდებულება 1-2, 2-3 და 3-4 შეერთებების ელემენტების ცვეთებსა და გაგონის გარბენს შორის ორი სახის სტანდარტული მასალისათვის (ნახ. 2).



ა)



ბ)

ნახ. 2. ღრებოებისანი სახსრული შეერთებების ელემენტების ცვეთებისა და გაგონის გარბენის დამოკიდებულების გრაფიკი: а) ფლ. 3  
და ბ) ფლ. 5 მასალის გამოყენებისას

სახსრული შეერთებების ელემენტების ფლ. 3 მასალით დამზადებისას (ნახ. 2, ა) გაგონის გარბენისა და ცვეთების დამოკიდებულება 1-2 სახსრული შეერთებისთვის ხასიათდება ლილგაკისა და გარე ელემენტების შესაბამისი *a* და *b* მრუდებით, ხოლო 2-3 და 3-4 შეერთებისთვის მახასიათებელი მრუდებია *c*, *d* და *e*, *f*. ადსანიშნავია, რომ ლილგაკისა და გარე ელემენტის ცვეთები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება.

ფლ. 5 მასალის გამოყენებისას გარბენისაგან დამოკიდებულების დიაგრამები გრაფიკით აისახება (ნახ. 2, ბ), სადაც დამოკიდებულებანი მოცემულია *a<sub>1</sub>*, *b<sub>1</sub>*, *c<sub>1</sub>*, *d<sub>1</sub>* და *e<sub>1</sub>*, *f<sub>1</sub>* მრუდების მიხედვით. დიაგრამების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ელემენტების სიმტკიცესა და ცვეთების ხარისხს შორის არსებობს უძუპროპორციული დამოკიდებულება ვაგონის გარბენის ერთნაირი მნიშვნელობებისთვის. გაირკვა, რომ ელემენტების საიმედოობის ზედა ზღვარი შეიძლება იყოს 0,981-მდე, ხოლო საექსპლუატაციო უმტკუნებო მუშაობის ალბათობის საშუალო მნიშვნელობა 0,976-ს არ აღემატება.

### 3. დასკვნა

სამუხრუჭო კვანძის დინამიკური მოდელის შექმნამ ცვეთების გათვალისწინებით საშუალება მოგვცა დაგვეხასიათებინა ღრებოებიანი შეერთებების დინამიკური დატვირთვები;

მოდელის მიხედვით კვანძის მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების შედეგისა და ამონების შედეგად შესაძლებელი გახდა საექსპლუატაციო ცვეთებისა და შესაბამისი მათემატიკური მოლოდინის პარამეტრების დადგენა;

დადგენილ იქნა დამოკიდებულება სამუხრუჭო კვანძის ელემენტების ცვეთებსა და გაგონის გარბენის შორის სხვადასხვა მასალისთვის, რაც აუცილებელია ახალი გადაცემის დაგეგმარების ან მოდერნიზების პროცესში.

### ლიტერატურა

- Carvel Holton, Corina Sandu. Hyun Wooklee. Dinamic model and stochastic analysis of the contact patch // Trans. of ASME JRC 2010 Conference, University of Illinois at Urbana, IL, USA. April 27-29, 2010. Vol. I, PN: JRC 2010 – 36229.
- Garg V.K., Dukkipati R.V. Dynamics of railway vehicle systems. Academic Press, New York, 1984. – 391 p.
- Donald Eadie, Kevin D. Oldknow, Matt Dick. Effective friction control for optimization of high speed rail operations // Trans. of ASME JRC 2010 Conference, University of Illinois at Urbana, IL, USA. April 27-29, 2010. Vol. I, PN: JRC 2010 – 36010.
- Гнеденко Б.В., Хинчин А.Я. Введение в теорию вероятностей. М.: Наука, 1986. – 357 с.
- Крылов В.И., Крылов В.В. Автоматические тормоза подвижного состава. М.: Транспорт, 1982. – 320 с.

- 
6. Sharashenidze G., Sharashenidze S. Optimum brake leverage for rail-car wheel with two sided press the shoes and calculation of its characteristic parameters // "Problems of Applied Mechanics". Tbilisi, N 3(12), 2003, pp. 28-36.
7. Sharashenidze G., Kurtanidze P., Baron L.V. About dynamical analysis of exiting and optimum brake leverage systems // "Problems of Applied Mechanics". Tbilisi, 2010, N 1(38), pp. 29-38.
8. Шарашенидзе Г.С., Косаревский В.В. Анализ динамики рычажной передачи вагона с учетом зазоров в шарнирных соединениях // Вестник Ростовского гос. университета путей сообщения, № 1. Ростов н/Д, 2005, с. 42-47.
9. Шарашенидзе Г.С., Куртанидзе П.Р. К вопросу динамического исследования оптимальной тормозной рычажной передачи пассажирского вагона // Научные труды ГТУ, № 4(474). Тбилиси, 2009, с. 139-142.
10. Шарашенидзе Г.С., Карапидис С.И., Куртанидзе П.Р. О точности учета реальных параметров тормозных рычажных передач подвижного состава // Научные труды «Вестник» Новочеркасского НИИ Электровозостроения, № 2(58). Новочеркасск, 2009, с. 228-242.
- 

**UDC 621.828**

## **ANALYSIS OF OPERATIONAL WORK OF BRAKE LEVERAGE TRANSMISSION ELEMENTS OF THE CARS WITH TAKING INTO ACCOUNT DETERIORATIONS**

**G. Sharashenidze, T. Dundua, N. Mgebrishvili, P. Kurtanidze, S. Sharashenidze**

Department of transport, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is created the mathematical research method of dependences of deterioration from car run on the basis of the statistical analysis of the given hinged connection elements of brake leverage transmission. There is considered the real scheme of transfer with taking into account of deterioration of elements. The probability of elements non-failure operational work is considered on a spectrum of hypergeometrical distribution. There is established the top limit of reliability and probability of non-failure operation. The received results graphically represent the dependence of elements deterioration on the car run in case of different materials of these elements.

**Key words:** deterioration; operational work; probability of non-failure operation; car run; connection elements.

**УДК 621.828**

## **АНАЛИЗ ЭКСПЛУАТАЦИОННОЙ РАБОТЫ ЭЛЕМЕНТОВ ТОРМОЗНОЙ РЫЧАЖНОЙ ПЕРЕДАЧИ ВАГОНА С УЧЕТОМ ИЗНОСА**

**Шарашенидзе Г.С., Дундуа Т.Дж., Мгебришвили Н.Н., Куртанидзе П.Р., Шарашенидзе С.Г.**

Департамент транспорта, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** На основе статистических данных элементов шарнирных соединений тормозной рычажной передачи в работе создан математический метод исследования зависимостей износа от пробега вагона. Рассмотрена реальная схема передачи с учетом износа элементов. Вероятность безотказной эксплуатационной работы элементов рассмотрена по спектру гипергеометрического распределения и формуле биномиального распределения. Установлены верхний предел надежности и вероятность безотказной работы. Полученными результатами графически изображается зависимость износа элементов от пробега вагона в случае разных материалов этих элементов.

**Ключевые слова:** износ; эксплуатационная работа; вероятность безотказной работы; пробег вагона; элементы соединений.

*დოკუმენტის დაბეჭდი 22.07.2010*

**უაგ 69.002.51 (075.32)****მიზანისმჭრებლი მანქანების მუშა ღრბანოების მოდერნიზაცია****თ. ბუხნიკაშვილი, პ. ბუხნიკაშვილი**

მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: mananalomidze@mail.ru

**რეზიუმე:** განხილულია მიწისმჭრელი მანქანების მუშა ორგანოთა მოდერნიზაციის მეთოდიკა, რომელიც აპრობირებულია სიახლეზე საავტორო მოწმობის ქვემენტზე, იდეის ჩასახვიდან ექსპერიმენტული მოდელის გამოცდა – დანერგვამდე.

**საკვანძო სიტყვები:** არხმჭრელი; ჯაჭვური მუშა ორგანო; კონუსური დისკი.

**1. შესავალი**

სატრანსპორტო საგზაო მშენებლობაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებისა და კონსტრუქციის მიწისმჭრელი მანქანები, რომელთა ტექნიკური დახვეწია, მოდერნიზაცია, ახლით შეცვლა მუდმივად აქტუალურ და პერსპექტიულ საქმედ ითვლება [1]. ამ მიზნისათვის მანქანათმშენებლები ითვალისწინებენ შესაქმნელი კონსტრუქციის ტექნოლოგიურ, საექსპლუატაციო, ეკონომიკურ და სოციალურ მოთხოვნილებებს [2]. აღნიშნული მოთხოვნათა პაკეტის შესრულება განაპირობებს მიწისმჭრელი მანქანების საექსპლუატაციო მაჩვენებლებს, რომლის ძირითადი კრმპონენტებია: მწარმოებლობა, საიმედობა, უსაფრთხოება, დანახარჯების ეკონომიკურობა, პროდუქციის ხარისხი და სხვა [3, 4].


მანქანათმშენებლობაში მიღწეული ტექნიკუ-

რი სიახლის რეალიზაცია კონკრეტულ მანქანზე არ შეიძლება იყოს ერთჯერადი. ის უწყვეტად პროგრესირდება და ემყარება საექსპლუატაციო მონაცემების დრმა ანალიზს. სრულყოფა არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიკურ ფაქტორებს ეხება, არამედ მუშა პროცესის ტექნოლოგიას, დიზაინს, ერგონომიკას, უსაფრთხოებას და სხვა მახასიათებლებს.

**2. ძირითადი ნაწილი**

დამწევები ინჟინერ-მანქანათმშენებლებისათვის, რომლებსაც დარგის შესაბამისი თეორიული განათლება გააჩნიათ და იწყებენ წარმოებებში მუშაობას, ხშირად თავიანთი ცოდნის რეალიზაციას ვერ ახდენენ სათანადო საწარმოო გამოცდილების უქონლობის გამო და კმაყოფილდებიან ყოველდღიური საორგანიზაციო თუ სხვა სახის, არაპროფესიული სამუშაოების შესრულებით. ამ დროს, უნდა იყოს ინიციატივა თეორიული ცოდნის საფუძლებს და მასთან იკარგება ინტელექტუალური აზროვნების უნარი სიახლეთა ძიების მიმართ.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მანქანათმშენებლობაში ყოველივე ნოვატორულის მიგნებას და მის ხორცშესხმას ესაჭიროება შესაბამისი მეთოდიკის ცოდნა, რომელიც შინაარსობრივად, ჩვენი შეხედულებით წარმოიდგინება სტრუქტურული სქემის სახით.



სიახლის დანერგვის მეთოდიკის სტრუქტურული სქემა

იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს ახლის შექმნა-დანერგვას დამყარებულია სამ ძირითად კომპონენტზე.

1. დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნა;
2. მანქანა-მექანიზმების მუშა პროცესების შესწავლა-გაანალიზება და ამის საფუძვლებზე ფიქრი გაუმჯობესებაზე, ან საერთოდ ახლის შექმნაზე;
3. დარგის გამოცდილი სპეციალისტების მიერ მოწოდებული სასარგებლო წინადაღები მანქანა-მექანიზმების სამრეწველო მახასიათებლების ასამაღლებლად (იდეის თანაავტორი).



**სურ. 1. მოდერნიზებული არხმწმენდის მუშა პროცესი**

უმცელი სასარგებლო იდეა, ინტელექტუალური საკუთრების საგანია. მას ესაჭიროება სათანადო აღიარება და დაცვა, რასაც „საქამატენტი“ ემსახურება, რომლის წესდებაში გაითხეულობთ:

— გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე და სამრეწველო ნიმუშზე გაიცემა „საქამატენტის“ მიერ პატენტი, რომელიც შესაბამისი კანონით რეგულირდება და ინტელექტუალური საკუთრების დამცავი დოკუმენტია, ის ადასტურებს ავტორობას და ანიჭებს პატენტის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებას [5].

დაპატენტებული იდეის ხორცებს ხელის საჭიროა ტექნიკურ მატერიალური მხარდაჭერა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სათანადო რეკლამირებით. ამისათვის გამოყენებულ იქნეს ინფორმაციის მაქსიმალური საშუალებები: კონფიდენციული, სამეცნიერო სტატიები, რეკლამები, მონაწილეობა კონკურენტებში სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად, დარგში მომუშავე პიზნების მექანიზმის საქმიანი ურთიერთობა და სხვა.

შემდეგი ეტაპია ექსპერიმენტული, გამოსაცდელი მუშა ორგანოს შექმნა. ამ მიზნით იქმნება კონსტრუქციის მუშა ნახატები და მასთან ერთად თეორიული გაანგარიშებები ტარდება კველა საჭირო პარამეტრების დასადგენად. საბაზო მანქანის შესარჩევად წინასწარ განისაზღვრება საჭირო სიმძლავრე, თეორიული მწარმოებლობა და ეპონომიკური ეფექტითობა.

ექსპერიმენტული მოდელის მუშა ნახატებს

უმჯობესია პატენტის ავტორი ქმნიდეს და სისტემურ კავშირში იმყოფებოდეს მოდელის დამაზადებელ მექანიკურ სამქროს პერსონალთან, რათა საჭიროების შემთხვევაში ოპერატორი შეიტანოს შესწორებები მუშა ნახაზებში. ასეთ შესწორებებს ხშირად პროექტით გათვალისწინებული მასალების ხელმიურვდომლობა განაპირობებს და არსებულით შეცვლის აუცილებლობა.

დამზადებული ექსპერიმენტული აქტიური ქმნების მუშა ორგანოს თავდაპირველ გამოცდას გადის დაუტიპირობა რეჟიმში, ტექნიკური დაფენის გამოვლინების მიზნით.

გამოსაცდელი მოდელის კვლევები უნდა განხორციელდეს შეთოლიკით გათვალისწინებულ სხვადასხვა პოლიგონზე დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების თანაბაზრებით.

ფოტო და ვიდეომასალები იქმნება, არსებული წესის მიხედვით, ფორმდება მანქანის გამოცდის ოქმი, სადაც დაფიქსირდება მანქანის ექსპერიმენტული გამოცდების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები; ასევე ადგილი და უმომავრესი შეფასებას, მისი ვარგისიანობის თვალისწირისით.

მიღებულ ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით ვამდიდრებთ საინფორმაციო-სარეკლამო მასალებს. ექსპერიმენტული მუშა ორგანოს მოწონებისა და მსარდაჭერის შემთხვევაში ტექნიკურ დოკუმენტაციას და გამოცდის მასალებს გადავცემთ ლიცენზირებულ საკონსტრუქტორო ბიუროს, რათა მის მიერ შექმნილი დოკუმენტაციით მანქანის დამზადება საქართველო წესით მოხდეს.

განხილული მეთოდიკის გამოყენებით განხორციელებულია რამდენიმე მიწისმჭრელი მანქანის მუშა ორგანოს მოდერნიზაცია და საწარმოო დანერგვა. წარმოვადგენთ სანიმუშო მაგალითებს.

ცნობილია სერიული წარმოების არხმწმენდი მ-202, რომელიც წმენდას სატრანსპორტო მაგისტრალის გასწორივ გამავალ წყალგამტარი არხების ერთ ფერდობს. სარკინიგზო მაგისტრალებზე არ შეუძლია მეორე ფერდობის გაწმენდა. მიზეზი მარტივია, ვერ გადაადგილდება ლიან-დაგებზე.

არსმუტებდის მუშა პროცესის შესწავლა-გაანალიზებამ დაბადა იდეა – ერთი გავლით გაიწინონოს სალიანდაგო და სხვა, მეორე მხრიდან მისადგომად შეუძლებელი წყალგამტარი არხები. ეს შესაძლებელი იქნებოდა თუ ჯაჭვური მუშა ორგანოს ჩარჩოს დავამზადებდით სახსრულს და მის გადაწვდომას არხის მეორე ფერდზე გარეგულირებდით მექანიზმებული მართვით – პიდროცილინდრის გამოყენებით. აღნიშნულ წინადადებაზე გაიცა საავტორო მოწმობა გამოგონებაზე [12]. მექანიზმით დაინტერესებულმა ორგანიზაციამ, „კოლხიდმშენება“ გაი-

ღო საჭირო მატერიალური ხარჯები და თავის მექანიკურ სამქროში დამზადდა მუშა ორგანოს ექსპერიმენტული მოდელი ამორტიზირებული და ჯართადქცეული ტიპით მუშა ორგანოს ნაწილების გამოყენებით [6]. მოდერნიზებული მუშა ორგანოს საექსპლუატაციო გამოცდამ დაიმსახურა მოწონება სპეციალისტებისაგან (სურ. 1). შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაცია გადაეცა „კოლხიდმშენს“ რის საფუძველზე ადგენილ იქნა რამდენიმე ამორტიზებული არხმშენდი მუშა ორგანო.



სურ. 2. არხის ჭრის პროცესი

საქართველოს კაგშირგაბმულობის სამინისტროს ესაჭიროებოდა 0,7 მ სიღრმის (სიგანე 0,3 მ) ზომის არხების გამჭრელი მექანიზმი. სახელშეკრულებო თვემის გაფორმებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან დაიწყო შესაბამისი სამეცნიერო სამუშაოს წარმოება.

შერჩეულ იქნა სერიული ჯაჭვური არხმჭრელი ეთც-165A, რომლის რამდენიმე ეგზემპლარს ფლობდა ხსენებული სამინისტრო. აღნიშნული არხმჭრელი ჭრის 1,65 მ სიღრმის არხებს. შეიქმნა ტექნიკური დოკუმენტაცია არსებული არხმჭრელის მოდერნიზაციისათვის, რომლითაც 1,65 მ-ის სანაცვლოდ მივიღებდით 0,7 მ სიღრმის არხებს.

ზემოთ განხილული მაგალითის ანალოგიურად, ექსპერიმენტული ეგზემპლარის დასამზადებლად აქაც გამოყენებულ იქნა ამორტიზებული მუშა მექანიზმები. საცოლი ნიმუში ხსენებული სამინისტროს მექანიკურ სამქროში დამზადდა [7].

მოდერნიზებულმა მუშა ორგანოს მრავალჯერადმა საწარმოო გამოცდამ, რომელსაც დარგის სპეციალისტები აკვირდებოდნენ მოწონება დაიმსახურა (სურ. 2).

მსგავსი სამუშაოების ჩასატარებლად ტექნიკური დოკუმენტაცია და ექსპერიმენტული გამოცდის მასალები გადაეცა საქართველოს კავშირობის სამინისტროში.

არხმჭრელის ექსპერიმენტული გამოცდის მასალების გაანალიზების საფუძველზე გაფორმდა განაცხადი კოლხიდმშენს“ კონკრეტული 6 საკავშირო სამინისტროსთან შეთანხმებით, მათ შორისაა მშენებლობის, საგზაო

ტენციური წარსადგენად და მიღებულ იქნა დადგბითი პასუხი [13].



სურ. 3. კომბინირებული არხმჭრელის მუშა პროცესი

აღწერილი სამუშაო წარდგენილ იქნა ეროვნული სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად კონკურსზე, მიღებულ იქნა მაღალი ქულები, რაც კონკურსში ნამუშევრის ხელახლი წარდგენის საშუალებას იძლევა.

წეალთა მეურნეობისა და მელიორაციის საკავშირო სამინისტროს ს/კ ინსტიტუტში (ГрузНИИГиМ) დამზადდა ჭარბტენიან გრუნტებზი დრმა არხების მისადებად განვითვნილი კომბინირებული არხმჭრელი (გუთნისებრი არხმჭრელი და კონუსური დისტი).

კონუსური მუშა ორგანოს შექმნის გზაზე მიღებულია საავტორო მოწმობები გამოგონებაზე [10,11].

ექსპერიმენტული მოდელი გამოიცადა კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიან ნიადაგებმი (სურ. 3), რასაც მაღალი შეფასება მიეცა სპეციალისტების მიერ [6, 8].

აღნიშნული კომბინირებული არხმჭრელის ექსპერიმენტული მოდელის ტექნიკური დოკუმენტაცია და გამოცდის მასალები გამოყენებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმო ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის მიერ არხისმჭრელის საქართველო ეგზემპლარების დასამზადებელი პროექტის შესაქმნელად.

ხსენებული ინსტიტუტის მიერ შემუშავებული პროექტის და ექსპერიმენტული გამოცდების დოკუმენტაცია გადაეცა საკავშირო სამინისტროს. ამ უკანასკნელის მოწონებითა და მხარდაჭერით კომბინირებული არხმჭრელი სახელწოდებით „KK-0,6“ შეტანილ იქნა 1980-1990 წლებში დასანერგ მანქანათა სისტემაში, რომელიც დამტკიცებულია 6 საკავშირო სამინისტროსთან შეთანხმებით, მათ შორისაა მშენებლობის, საგზაო

და კომუნალური მანქანათმშენებლობის საკავშირო სამინისტრო [9].

ასევე შექმნილია 0,6 მ სიღრმის არხის გამჭრელი, ფრეზირებული ტიპის საცდელი მუშაორგანოს ნიმუში.

აღნიშნული მიზნისათვის შესწავლილ იქნა სერიული წარმოების არხმჭრელი KFN-1200, რომელიც განკუთვნილია გაცილებით ღრმა არხების მოსაწყობად (1,2 მ). ხსენებული არხმჭრელის საექსპლუატაციო პროცესის შესწავლით დადგენილ იქნა მექანიზმის დადგებითი და უარყოფითი მხარეები, რის გაანალიზების საფუძველზე, სათანადო ტექნიკური გაანგარიშებით დამზადდა დავალებით გათვალისწინებული პარამეტრების მქონე არხების გამჭრელი აქტიური ქმედების ექსპერიმენტული მუშაორგანო (სურ. 4), რომელმაც წარმატებით გაიარა საუწყებო გამოცდა [9].



სურ. 4. ფრეზერული არხმჭრელი მუშაორგობაში

აღწერილ სამეცნიერო სამუშაოებზე დაცულია ორი საქანდიდატო დისერტაცია.

მუშავდება და უახლოეს მომავალში გამოიცემა მონოგრაფიული ნაშრომი, სადაც განიხილება აღნიშნული მექანიზმების კონსტრუქციული, კინემატიკური, სტატიკური და დინამიკური გაანგარიშებები; ასევე აღწერილ იქნება მექანიზმებზე მოსული დატვირთვების ავტომატიზებული გაზომვებისა და ექსპერიმენტული

მონაცემების მათემატიკური სტატისტიკით დამუშავების მეთოდიკები.

### 3. დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი აპრობირებული მეთოდიკა, გამიზნული მიწისმჭრელი მანქანების მუშაორგანოთა მოდერნიზაციისათვის, ასევე შექმნილი ნიმუშების გაცნობა უდავოთ დაეხმარება სტუდენტებს როგორც სადიპლომო სამუშაოს შესრულებაში, ასევე საწარმოებში დასაქმების პერიოდში ნოვატორული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

### ლიტერატურა

1. Мер И.И. Мелиоративные машины. Москва: Колс, 1985.
2. Гальперин М.И. и др. Строительные машины. Москва: Машиностроение, 1971.
3. Алексеева Т.В. Машины для земляных работ. Москва: Машиностроение, 1972.
4. Хархута Н.Я. и др. Дорожные машины. Ленинград: Машиностроение, 1968.
5. საპატენტო სამართალი. საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული. იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა“. თბილისი, 2007.
6. Исследовать рабочие органы экспериментальных образцов машин для строительства каналов. Научный отчет ГрузНИИГиМ. Тбилиси, 1975 г.
7. სახელშეკრულებო სამეცნიერო პლევეოთი სამუშაო №05-121/86. тავი V. სპი, თბილისი, 1987 წ.
8. Бухникашвили Т.П. Устойчивость и проходимость навесного комбинированного каналокопателя // Доклады ВЛСХНИЛ, №7, Москва, 1979 г.
9. Система машин для комплексной механизации с/х производства на 1981-1990 годы. ЦНИИТЭП, Москва, 19981 год.
10. Бухникашвили Т.П., Самхарадзе В.И. Устройство для образования путем продавливания профилированных каналов. А.с. №606956. Бюллетень изобретений №18, ЦНИИПИ. М., 1978 г.
11. Бухникашвили Т.П., Самхарадзе В.И. Каналокопатель. А.с. №609846. БИ, №21, ЦНИИПИ. М., 1978.
12. Бухникашвили Т.П., Джикия М.В. Рабочий орган каналоочистительного экскаватора. А.с. №781273, БИ, №43, ЦНИИПИ, М., 1980.
13. მ. ბუხნიაშვილი, პ. ბუხნიაშვილი. არხმჭრელი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. საქ. პატენტი, V 1399. თბილისი, 2007.

---

**UDC 69.002.51(075.32)**

**UP-GRADING OF EARTH-CUTTING MACHINE EXECUTIVE DEVICE**

**T. Bukhnikashvili, P. Bukhnikashvili**

Department of mechanical engineering, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There is considered approved method of up-grading of earth-cutting machine executive device from receiving author's certificate for invention to its manufacturing application. With this purpose here are presented four pattern instances, which will undoubtedly help the beginner mechanical engineers in their scientific activity at the initial stage.

**Key words:** ditcher; chain executive device; conic disk.

---

**УДК 69.002.51(075.32)**

**МОДЕРНИЗАЦИЯ РАБОЧИХ ОРГАНОВ ЗЕМЛЕРЕЖУЩИХ МАШИН**

**Бухникашвили Т.П., Бухникашвили П.Т.**

Департамент машиностроения, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Рассмотрен апробированный способ модернизации рабочих органов землережущих машин с момента получения авторского удостоверения на изобретение до его внедрения в производство. С этой целью в статье приведены четыре образцовых примера, ознакомление с которыми, несомненно, поможет начинающим машиностроителям в их научной деятельности на начальном этапе.

**Ключевые слова:** канавокопатель; цепной рабочий орган; конусный диск.

---

*გთხოვ გვლინდნა დასაბუქდოდ 10.11.2010*

# კუმანიტარულ-სოციალური სექცია

## შპგ 621.311.4

ენერგოსისტების მვესადგურებზე გადართვების მიმღებობის განვირაციის  
მოძღვანება

რ. ქუთათელაძე, ა. კობიაშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: r.kutateladze@gtu.ge

**რეზიუმე:** შესწავლით ავტომატური გადართვების თანამიმდევრობის შექმნის შესაძლებლობა. განხილულია შესაბამისი ექსპერტული სისტემის მოდელი. გაანალიზებულია ასეთი ექსპერტული მოდელის შექმნის აუცილებლობა. ნაჩვენებია ოპერატორის მოქმედებათა თანამიმდევრობა. შექმნილი მოდელი რეალიზებულია ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენის საფუძველზე. ნაჩვენებია გამოყენებული მიღომის უპირატესობა.

**საკანონო სიტყვები:** ექსპერტული სისტემა; პროდუქციული წესი; ცოდნის ბაზა; გადართვების თანამიმდევრობა.

ა) იზრდება თვით ენერგოსისტემის ზომა და სირთულე;

ბ) ქვესადგურების ნიორმალური და ავარიული მდგომარეობების მიმართ გაჩნდა უფრო პროგრესული მოთხოვნები;

გ) შემოთავაზებულ იქნა სხვადასხვა ტიპის თანამედროვე ეპექტური მეთოდი.

თავდაპირველად საჭიროა მოვახდინოთ ქვესადგურის მოდელის ფორმულირება. ის შეიცავს ცოდნის ბაზას ქვესადგურის იმ მოწყობილობებისათვის, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ოპერატორის ევრისტიკის საშუალებით პროდუქციული წესების სახით. მოდელირებაში ყველაზე კრიტიკული საკითხია მოწყობილობებს შორის ურთიერთკავშირების წარმოდგენა. [2]

## 1. შესავალი

ოპერატორების მუშაობაში დასახმარებლად ქვესადგურებზე გადართვების თანამიმდევრობის ავტომატური ფორმირების გზით შეიძლება გამოყენებული იქნეს ექსპერტული სისტემა [1]. გადართვების მიზანია ქვესადგურში მუშაობის ნორმალური რეჟიმის შენარჩუნება. იმის გამო, რომ ოპერაციების თანამიმდევრობა უნდა განისაზღვროს ოპერატორის მიერ, ქვესადგურის წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია მოწყობილობებზე ოპერატორის მიერ ყურადღებიან დაკვირვებაზე და ამ მოქმედებების შესრულების ადრეულ გამოცდილებაზე. ოპერაციების თანამიმდევრობის შექმნის სირთულე იზრდება ქვესადგურის ზომის ზრდასთან ერთად. ამ ამოცანის მიმართ ცოდნაზე დაფუძნებული მიღომის გამოყენებით შესწავლილ იქნა ავტომატური გადართვების თანამიმდევრობის შექმნის შესაძლებლობა და შექმნა სათანადო ექსპერტული სისტემის მოდელი.

ქვესადგურების მართვა სულ უფრო და უფრო რთულდება იმის გამო, რომ:

## 2. ძირითადი ნაწილი

გადართვების მიმღებობის ცხრილი აღწერს იმ ოპერაციების მიმღებობას, რომლებიც უნდა შესრულდეს შესაბამის მოწყობილობებზე და რომლებიც სადისპეტჩერო ცენტრიდან უნდა მიეწოდოს მოწყობილობებს ბრძანებების სახით. ამის შემდგა ოპერატორი საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე გეგმავს გადართვების თანამიმდევრობას მოწყობილობების მდგომარეობებისა და ქვესადგურის კონფიგურაციის შესაბამისად. ამ პირობების გარდა დაგეგმვა დამოკიდებულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოქმედებებზეც.

ბრძანებას ექნება წინადადების სახე, რომელიც სამი ელემენტისაგან შედგება: პირველი განსაზღვრავს ბრძანების ფუნქციებს, მეორე ეხება მიზნობრივ მოწყობილობას და მესამე იძლევა მოწყობილობის მდგომარეობას:

ბრძანება : : = ფუნქცია + მოწყობილობა + მდგომარეობა

ბრძანების ფუნქციების მაგალითებია: DISCHARGE (განმუხტვა), CHARGE (დამუხტვა), PARAL-

LEL\_RUN (პარალელურად გაშვება). ბრძანების მაგალითია: DISCHARGE BUS\_A, რომელიც ადგენს, რომ სალტე A უნდა გაითიშოს ელექტრონულად მომიჯნავე მოწყობილობებიდან შესაბამისი გადამრთველების მეშვეობით. ამ ბრძანებით ოპერატორი აგებს შემდეგი მოქმედებების ჯაჭვს:

ა) მოწყობილობასთან დაკავშირებული გადამრთველების ჩართვა/გამორთვა;

ბ) გადართვების ოპერაციების სერიის აგება მოწყობილობის ტიპისაგან დამოკიდებულებით;

გ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ;

დ) იმის უზრუნველყოფა, რომ ხელოვნურად არ იქნეს გათიშული სხვა მოწყობილობები;

ე) ძაბვისა და სხვა პარამეტრების მიმდინარე მნიშვნელობების შემოწმება;

ვ) არამდგრადი მდგომარეობების სტაბილიზაცია;

ზ) მოწყობილობების დამიწება;

თ) სხვა ფუნქციები.

ყველა ამ მოქმედების აღმწერი წინადადება შეიძლება იყოს ოპერაციების აღმწერი ან დამოკიდებულებების აღმწერი. პირველი (ა)-დან ზ)-მდე) ეხება მოწყობილობების გადართვას, ხოლო მეორე უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

ასეთი ბრძანების მიღების შემდეგ ოპერატორი ცდილობს შეარჩიოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიახლოებითი გეგმა და ექსპერტი ოპერატორის მიერ წინასწარ შედგენილი ცხრილის, როგორც ნიმუშის, გამოყენებით შეადგინოს მოქმედებების აღეკვატური მიმდევრობა ბრძანების პირობების დაკმაყოფილების მიზნით.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქვესადგურის მოწყობილობების დიდი რაოდგნობა და მათი ურთიერთკავშირების სირთულე მოითხოვს დიდი რაოდგნობის ინსტრუქციას მიმდევრობების შესადგენად და ასევე საწყისი ცხრილების დიდ მრავალფეროვნებას. მეთოდი, რომელსაც ცოდნაზე დაფუძნებულ სისტემა ჰქონდნობა, შეძლებს ამ სირთულეების დაძლევას.

სისტემა შეიძლება აიგოს ცოდნის აღწერის ენაზე KDL, რომელიც შექმნილია ექსპერტული სისტემების ასაგებად. ეს ენა წარმოადგენს LISP ენის ერთ-ერთ ქვესიმრავლეს და არის ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენა. ის ეფუძნება ფრეიმების აღწერასა და პროცესიულ წესებს. ობიექტი იდებს ფრეიმის სტრუქტურას, როგორც ცოდნის წარმოდგენის ელემენტს, შედგენილს სლოტების, მეთოდებისა და პროცესიული წესებისაგან. ამ ენაში ფრეიმი ფართოვდება ისე, რომ წესებიც შეიძლება იყოს ობიექტის ატრიბუტები. მაშინ თოთოეულ ობიექტს ექნება შემდეგი კოდმონებით [1]:

### ობიექტი

სლოტები (სტატუსის შესაბამისი ცვლადები)

მეთოდები (პროცედურები)

პროდუქციული წესების სიმრავლეები (მეტაწესების სიმრავლეები)

წესების ბლოკები (წესების ჯგუფები)

მართვის ბლოკები (მართვის ნაკადები)

მოკლე მეხსიერება (სამუშაო მეხსიერება).

აქ დასკვნების მიღების მექანიზმი განიხილება როგორც მეთოდი, წესების სიმრავლეები – როგორც წესების, მართვის ბლოკები – როგორც წესების ბლოკების გააქტიურების ან შეჩერების პირობები და მოკლე მეხსიერება – როგორც მუშა მეხსიერება, რომელსაც ინაწილებს წესების ბლოკები.

ჩვეულებრივ ობიექტზე ორიენტირებულ ენებში მეთოდები პროცედურული პროგრამებით იწვევება, ხოლო KDL-ში დაკლარატიულად დოკუმენტი დაპროგრამების სტილში – წესების საშუალებით.

ამ ხერხის უპირატესობა ისაა, რომ ძალიან მარტივდება მეთოდების წარმატებული გამოყენება მათი მუშაობის იოლი შესწავლის შესაძლებლობის გამო. ასე, რომ ობიექტზე ორიენტირებული მიღვიმება კარგად ერგება მიმდევრობათა შექმნის მიზანს, რადგანაც ბრძანება “იმოქმედე ობიექტზე” ადვილად ინტერპრეტირდება შეტყობინებად: “გამოიძახე მეთოდი “მოქმედება”, რომელიც ჩაწერილია “ობიექტში”. მაშინ განსხვავება DDISCHARGE BUS-სა და DISCHARGE TRANSFORMER-ს შორის დამოკიდებული იქნება მხოლოდ მოწყობილობების ტიპზე. ამიტომ ოპერაციების წესების აგება ძალიან მოხერხებულია მოხდეს მოწყობილობების, როგორც ობიექტების, განხილვით.

პროდუქციული წესი ფორმულირდება შემდეგნაირად:

IF < ანტიცედენტი → THEN < კონსეკვენტი >

ანტიცედენტი წესს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს, როგორც შემდეგი პირობების კონიუქციური კომბინაცია:

ა) პროლოგის ტიპის შაბლონების შესაბამისობის დაღვენის ბრძანებები, რომლებიც შესაბამის ფაქტებს ეძებს მონაცემთა ბაზაში;

ბ) სლოტის შესაბამისი წყვილები, რომლებიც ცოდნის ბაზის ფრეიმებში ჩაიწერება;

გ) ნებისმიერი სიმბოლოების სიები, რომლებიც მოკლე მეხსიერებაში ინახება;

დ) ლისპ-ფუნქციების ან KDL მეთოდების შეფასება.

ახლა ის მოქმედებები აღვწეროთ, რომლებიც საჭიროა წესების შეზღუდვების დასაქმაყოფილებლად:

ა) მონაცემთა ბაზის განახლება – ყველა იმ ჩანაწერის შეტანა მონაცემთა ბაზაში, რომელიც მონაცემთა შაბლონის დასაბუთებისთვის საჭიროებას ექნება შემდეგი კოდმონებით [1]:

რო თქვენაციებისა და დამოკიდებულებების სერიიდან იქნა მიღებული.

ბ) ობიექტებში ჩაწერილი მეოთხების შეცვლა. ეს მექანიზმი საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს უკვე მიღებული შედეგები და გამოცდილება.

თავდაპირველად მოდელირებულ იქნა გადამცემი ქვესადგური, რომელიც 1-ელ ნახაზზე მოცემულია. შედგება ენერგოსისტების გადამცემი საზების, სალტევების, ტრანსფორმატორების, წრედების გამოთიშველების, ხაზების გადამრთველებისა და სხვა კომპონენტებისაგან. მოდელირების ძირითადი იდეა იყო მოწყობილობებს შორის ურთიერთკავშირების წარმოდგენის მიღება KDL-ის ფრეიმების საშუალებით. მისი აღწერა შემდეგი ტიპის წინადადებებით მოხდა:


- ATTACHED TO ... (მიერთებულია ... -სთან)

• PARALLELED WITH ... (დაპარალელებულია ... -სთან)


• CONNECTED TO ... (დაკავშირებულია ... -სთან)

• PLACED ON ... (მოთავსებულია ... -ზე)

ქვესადგურის მოწყობილობების თითოეული ტიპი განსაზღვრულია როგორც კლასი და ეს კლასი-ქვეკლასის იერარქია საშუალებას იძლევა განისაზღვროს კლასების მემკვიდრეობითი კავშირები. მაგალითად, მე-2 ნახაზზე ნაწვენები კლასი CIRCLE BREAKER (წრედის გამოთიშველი) არის DEVICE (მოწყობილობა) კლასის ქვეკლასი, რომელიც, თავის მხრივ, არის SUBSTATION (ქვესადგური) კლასის ქვეკლასი. იმავე კლასის მაგალითები (INSTANCE), რომლებსაც აქვთ იგივე ფრეიმული სტრუქტურა, შეიძლება განისაზღვროს მონაცემთა სლოტებით, რომლებიც მოწყობილობების ფიზიკურ ან ელექტრულ მახასიათებლებს ჩაწერს.



ნახ. 1. ქვესადგურის დიაგრამა



ნახ. 2. CONNECTION-ის დიაგრამა

გარდა მონაცემთა სლოტებისა, KDL-ის თოთოეული ფრეიმი სხვა სახის სლოტებს მოიცავს, როგორიცაა კავშირების სლოტები. დამო-

კიდებულებები მოწყობილობებს შორის შეიძლება დახასიათებულ იქნეს მათი კავშირების ბლოკების საშუალებით, რომლებიც ჩაწერილია

კავშირების სლოტებში. ამ კავშირების ფორმების მიხედვით მოწყობილობებს შორის ურთიერთკავშირები შემდეგნაირი იქნება:

ა) “მოწყობილობა A დაკავშირებულია B მოწყობილობასთან”. ეს წინადადება დაიშლება შემდეგ ქვეწინადადებებად:

“არსებობს ისეთი კავშირი CONNECTION\_C, რომელშიც შემდეგი წინადადებები შედის:

მოწყობილობა A დაკავშირებულია C\_სთან და

მოწყობილობა B დაკავშირებულია C\_სთან, ანუ

EQUIPMENT\_A is\_conn CONNECTION\_C

EQUIPMENT\_B is\_conn CONNECTION\_C

განშტოების წერტილების ქვევის გაგების მიზნით კონსტრუქცია CONNECTION შემოგრანილ იქნა ქვესადგურის მოდელში. განშტოების წერტილში ერთმანეთს უერთდება მრავალი სახის მოწყობილობა. ამიტომ ისინი შეიძლება შემთხვევით ჩაირთოს ან გაითიშოს ერთმანეთოან გადამრთველების არაკორექტული გადართვისას. ამიტომ გადამრთველები უნდა იყოს კორელირებული და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ეს კონცეპტუალური ობიექტი ჩვენ მოდელში. განშტოების წერტილებს თრი თვისება აქვს. ერთი მხრივ, ისინი განიხილება როგორც ქსელის კვანძები, რომლებიც ურთიერთმოქმედებს მოწყობილობებთან და, მეორე მხრივ, ისინი განიხილება როგორც შავი ყუთები, რომლებიც ფუნქციონირებს როგორც გადართვის ყუთები მათი კავშირების დინამიკურად შესაცვლელად. აქედან გამომდინარე, ისინი ერთ ელემენტად ერთიანდება.

### 3. დასკვნა

ამრიგად, ქვესადგურებზე ენერგოსისტემის ოპერატორის დასახმარებლად გადართვების თა-

ნამიმდევრობის ავტომატური ფორმირების გზით ძალიან ეფექტურია ექსპერტული სისტემის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ქვესადგურში მუშაობის ნორმალური რეჟიმის შენარჩუნებას, ქვესადგურის წარმატებულ ფუნქციონირებას, ადამიანი-ექსპერტის დაკვირვებას გამოცდილებაზე დაფუძნებული მიღვომის საშუალებით. ამ ექსპერტული სისტემის დანიშნულებაა ცოდნაზე დაფუძნებული მიღვომის მემკვერბით მოხდეს ინსტრუქციების ისეთი თანამიმდევრობებით შედგენა, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემის უსაფრთხოებას და სისტემაში მდგრადი მდგომარეობის შენარჩუნებას. გადამცემი ქვესადგურის მოდელირების შედეგად ენერგოსისტემის გადამცემ ხაზებს, ტრანსფორმატორებს, სალტებებს, წრედის გამთიშველებს, ხაზების გადამრთველებსა და სხვა კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირების ისეთი წარმოდგენა მიღება, რომელიც მოწყობილობების ფიზიკური და ელექტრული მახასიათებლების საფუძვლებზე შექმნის გადართვების თანამიმდევრობის ისეთ მოდელს, რომელიც სისტემის სტაბილური მდგომარეობის გარანტიას მოგვცემს.

### ლიტერატურა

1. Tokashi Abe, Hisashi Goto, Tatsuya Mizutari, Nachiko Mitsuri. An Expert System for Generation Switching Sequences at Substations. International workshop on Artificial Intelligence for Industrial Applications. 1988, N. J., USA, pp. 326-331.
2. რ. ქუთათელაძე, ა. კობიაშვილი. ცოდნაზე დაფუძნებული მართვის სისტემა ენერგოსისტემის გადამცემი მაგისტრალის აღდგენისათვის // ენერგეტიკის პრობლემები, №4(10). თბილისი, 2010, გვ. 131-135.

**UDC 621.311.4**

## SIMULATION OF SWITCHING SEQUENCE GENERATION AT SUBSTATIONS OF POWER SYSTEM

**R. Kutatela, A. Kobiashvili**

Department of economics and business management, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resumē:** There is studied possibility of creation of automatic switching sequence generation. There is considered the model of corresponding expert system. There is analyzed the necessity of creating such an expert model. There is shown the sequence of operator's actions. Created model is realized on the basis of object oriented programming language. There is shown the advantage of a used approach.

**Key words:** expert system; production rule; knowledge database; switching sequence.

УДК 621.311.4

## МОДЕЛИРОВАНИЕ ГЕНЕРАЦИИ ПОСЛЕДОВАТЕЛЬНОСТИ ПЕРЕКЛЮЧЕНИЙ НА ПОДСТАНЦИЯХ ЭНЕРГОСИСТЕМЫ

**Кутателадзе Р.Г., Кобиашвили А.А.**

Департамент управления экономикой и бизнесом, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси,  
ул. Костава, 77

**Резюме:** Изучена возможность создания последовательности автоматических переключений. Рассмотрена модель соответствующей экспертной системы. Анализируется необходимость создания такой экспертной модели. Показана последовательность действий оператора. Созданная модель реализирована на основе языка объектно-ориентированного программирования. Показано преимущество использованного способа.

**Ключевые слова:** экспертная система; продукционное правило; база знаний; последовательность переключений.

მიღებულია დასაბუჭიდავ 20.11.10

**უაკ 726.54**

### ძველობის „სამების პლანი”

**თ. შიუკაშვილი**

საზოგადოებრივი მეცნიერებების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: takuci26@yahoo.com

**რეზიუმე:** ქვემო ხოდაშენში 12 ექლესია და  
რამდენიმე ნაეკლესიარია შემორჩენილი. იქ არ-  
სებული ხუროთმოძღვრული ძეგლები შეუსწავ-  
ლელია. ისინი დღემდე არ გამხდარა არც ერთი  
ისტორიკოსის თუ ხელოვნებათმცოდნის უურა-  
დდების საგანი. თუ არ ჩავთვლით 1986 და 1993  
წლებში პ. კიკაჩიშვილისა და ა. თოფურიას  
მიერ ძეგლების შესახებ შედგენილ პასპორტებს.

ქვემო ხოდაშის ე. წ. კომპლექსში განსაკუ-  
თრებით საინტერესო „სამების“ ტაბარი. ნაგე-  
ბობა ძლიერ არის დაზიანებული. ამის მიუხედა-  
ვად იკვეთება ტაბარის გეგმა. ის სამეცნიერო  
ბაზილიკის ტიპს უნდა მიეკუთვნებოდეს, რომ-  
ლის უადრესი, VI საუკუნის ნიმუშები საქართ-  
ველოშია შემორჩენილი და სხვაგან არ გვხვდე-  
ბა. ეს არქიტექტურული თემა VII საუკუნიდან-  
დან მოყოლებული გარევეულ ეკოლუციას გა-  
ნიცდის და ისევე როგორც ბაზილიკა, ძირითა-  
დად X საუკუნემდე ინარჩუნებს აქტუალობას.

ჩვენი პლანების ობიექტის ხუროთმოძღვრული  
კომპოზიციის დაზუსტება და მისი გარკვეული  
მსგავსება კახეთში შემორჩენილ სხვა ძეგლებ-  
თან საშუალებას გვაძლევს მისი აგების ქვედა  
ზღვარი VII საუკუნით განვხაზღვროთ.

**საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურა; ქართუ-  
ლი; ეკლესია; ქრისტიანული; ქვემო ხოდაშენი.

### 1. შესავალი

ქვემო ხოდაშენი კახეთში, თელავის რაიონში  
მდებარეობს. ეს ადგილი გამოირჩევა ხუროთ-  
მოძღვრული ძეგლების სიმრავლით. სოფელში  
12 ექლესია (შემორჩენილია რამდენიმე ნაეკლე-  
სიარიც). ეს ძეგლები ქართული ხუროთმოძღვ-  
რების განვითარების თითქმის ყველა ეტაპს  
მოიცავს, დაწყებულს ადრეული ფეოდალური  
სანიდან - დამთავრებულს გასული საუკუნით.

აღნიშნული ძეგლების უმრავლესობა დარბა-

ზულ ტიპს მიეკუთვნება. ისინი შეუსწავლელია და დღემდე არ გამხდარა არც ერთი ისტორიკოსის თუ ხელოვნებათმცოდნის კურადღების საგანი. თუ არ ჩავთვლით 1986 და 1993 წლებში პ. კიკახეიშვილისა და ა. თოფურიას მიერ ძეგლების შესახებ შედგენილ პასპორტებს (ამ სამუშაოს აწარმოებდა „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო- ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო“ 1986-1993 წ.წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ სამ ძეგლს პასპორტი არ აქვს. მათხე სხვა ლიტერატურაც არ არსებობს.

ქვემო ხოდაშენში არსებულ ამ სამ ძეგლთანან განსაკუთრებით საინტერესოა სამების სამეცნიეროი ბაზილიკა.

სამეცნიერო ბაზილიკის თემა, როგორც ცნობილია, სწორედ საქართველოში ჩნდება და აქვე იღებს თავის სრულად ჩამოყალიბებულ მხატვრულ სახეს. ამ ტიპის პირველი ნიმუშები VI ს. შეა წლებს ეპუთვნის. თავდაპირველად ვეცვდებით სამ წაგრძელებულ სათავსს ერთომეორის გვერდით, ერთმანეთთან დამაკავშირებელი კარით - გადახურულს კამარჯებით და ორქანობიანი სახურავით. სწორედ ამ ტიპისაა სამეცნიერო ბაზილიკის უძველესი ნიმუში „ბოლნის ქაფანაქი“ (ქვემო ბოლნისი), რომელსაც გ. ჩუბინაშვილი VI ს. I მეოთხედით ან ნახევრით ათარიდებს. „სამეცნიერო“ ბაზილიკა თავისი სრული მხატვრული სახით კახეთში ჩამოყალიბდა. ამის თქმის საფუძველს აქ არსებული „სამეცნიერო“ ნაგებობების მრავალი მაგალითი გვაძლევს.

## 2. ძირითადი ნაწილი

### ს ა მ ე ბ ა

ტაძარი სოფლიდან ცოტა მოშორებით, შუაბულ მინდორში მდებარეობს, საიდანაც „კუნძულივით“ ამოზრდილა პატარა ხშირი ტყე და მის შეაში ჩამალულა ოდესდაც ამაყად მდგარი, სოფლის ყვალაზე დიდი სალოცავი დღეს კი ნაგრევებად ქცეული სამება (ტაბ.1).

წინათ ტაძარი მოქმედი უნდა ყოფილიყო. აქ ადგომიდან მესამე დღეს, სოფლის ერთი ნაწილი ზეიმობდა „სამებობას“. ამ ტრადიციას დღესაც არ ივიწყებენ და აქ ხალხი ისევ დადის სალოცავად...

სამება მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები, რაც საერთოდ კახეთის არქიტექტურისათვის ჩვეული მოვლენაა. დღეს ის ძლიერ არის დაზიანებული. მას თითქმის აღარ აქვს გადახურვა. ზოგან

მხოლოდ საძირკველიდაა დარჩენილი. ნანგრევი კი მთლიანად ტაძრის იატაკზეა დაყრილი, რაც ხელს უშლის მნახველის გადაადგილებასა და მისი ოდესდაც არსებული ფორმების აღქმას. ამას ემატება ეკლესის შიგნით ამოზრდილი ხები და სხვა მცენარეები, რაც დიდ საფრთხეს უქმნის შენობის გადარჩენილ ნაწილს (გარშემო ხშირი ტყე არ იძლევა შორიდან გადადგების საშუალებასაც).

ძლიერი დაზიანების მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ ის სამეცნიერო ბაზილიკების ტიპს მიეკუთვნება. აქ გაქვს ფართო ცენტრალური ნავი, რომელიც ძირითადი ეკლესია (ტაბ.2) და გვერდის ეკლესიები - ერთმანეთთან დაკავშირებული დასავლეთის შემაერთებელი გალერეით. გვერდის ნავები გრძელი და ვიწრო დერეფნებია, მათი შემაერთებელი დასავლეთის ნავი კი შედარებით განიერი. ამრიგად, ცენტრალური სივრცის გარშემო სამმხრივი გარშემოსავლელი იქნება.

ცენტრალურ ნავს გარედან საკუთარი ორფერდა გადახურვა უნდა ჰქონოდა, გვერდითა ნავებს კი - ცალფერდა (სავარაუდოდ კრამიტის). ტაძრის ზომები საძირკვლის დონეზე  $10 \times 14$  მ-ია (ზომები მიახლოებითა (ავტ.)).

ტაძარს მთავარი შესასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს. სამხრეთის ნავიდან შევდივართ ასევე ცენტრალურ ნავში, რომელიც დანარჩენ ორზე უფრომაღალი და ფართოა, რის გამოც შენობას გარედან ნამდვილი ბაზილიკის სახე აქვს. ცენტრალური ნავისაც ურთეველი აფსიდს ქმნის, თუმცა გარედან მისი სიმრგვალე არ მეღდინდება და ეკლესის საერთო სწორკუთხა მოხაზულობის ფარგლებში ჯდება. თავდაპირველად საკუთხევლის წრიული მოხაზულობა გარედანაც მუდავნებოდა, რაც მოგვიანებით იშვიათ მოვლენად იქცა და ნახევარწრიულა მოცულობა ხაზოვან აბრისში ჩაჯდა.

შენობის გადარჩენილი ნაწილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განათების ძირითადი წყარო არის საკურთხევლის კედელში გაჭრილი ერთი ვიწრო სარკმელი. გადახურვის თუ სხვა სათავსების არქონის გამო სარკმლების სისტემის აღდგენა ამჯერად შეუძლებელია, მაგრამ რადგან ერთი სარკმელი ცენტრალურ ნავს ვერ გაანათებდა შესაძლოა სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელებში დამატებითი დონების არსებობა ვივარაუდოთ.

ცენტრალური ნავის ჩრდილოეთ კედელში არსებული კარით (ასევე ნალისებრი თაღის მქონე) შევდივართ პატარა უაბსიდო ოთახში, რომელიც აღბათ სამკეთლო უნდა ყოფილიყო (ტაბ.3). აღმოსავლეთის კედელზე სარკმლის

ფორმის ნიშაა, რომელიც შესაძლოა თავდაპირებელად სარქმელი იყო და შემდეგ ამოაშენეს. ის დღეს ნახევრად დიაა. თუმცა ყველაზე უკეთ მაინც შენობის ეს ნაწილია შემონახული. გვაქვს ნახევარტრიულ-კამაროვანი გადახურვაც. ამიტომ, სწორედ ამ ოთასს დღეს სოფლის მოსახლეობა სალოცავად იყენებს.

შესაძლოა ცენტრალური ნავიდან ჩრდილოეთ ნავში გასასვლელი არსებობდა, ამის დადგენა დღეს მნელია. კედელი მთლიანად ჩამონგრეულია და საძირკველიც არ ჩანს. ასევე დაზიანებულია ჩრდილოეთი ფასადი, სადაც შესაძლებელია შემოსასვლელი კარი იყო. დასავლეთ სივრცეს რაც შეეხება, მას ერთი სარქმელი უნდა ჰქონოდა. ეს ოთახი ჩრდილოეთ და სამხრეთის ნავებს ორი ფართო თაღით უკავშირდება. შემორჩენილია კამაროვანი გადახურვის ნაწილიც. აღნიშნულ ნავსა და ცენტრალურ ნავს შორის ამოქოლილი თაღოვანი ლიობია, რომელიც შესაძლოა აგრძოვე კარს ან სხვა რაიმე კომუნიკაციას ნიშნავდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ არსად ჩანს სადიაკვნე. მდგრელობმსახურებისათვის საჭირო დამატებითი გამოყოფილი სადგომები საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით VI საუკუნიდან ჩნდება [1]. ეს ძეგლი კი ოდნავ მოგვიანო პერიოდისაა (იხ. ქვემოთ), შესაბამისად - ამ ოთახების არსებობა აქ სრულებით შესაძლებელია. რაც შეეხება სადიაკვნეს, ის ალბათ ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრთაში უნდა ყოფილიყო (ტაბ.4). თუმცა, რადგან სამხრეთის შემორჩენილ ნავში - „ეკლესიაში“ არ არსებობს გამყოფი კედლის კვადი, საგარაუდოა, რომ აქ სადიაკვნე არ იყო. ორივეს ფუნქციას ალბათ ინტერიერის სხვა მონაკვეთი ითავსებდა. მხგავსი მაგალითები გვხვდება ამ ტიპის ადრეულ ბაზილიკებში.

ცენტრალურ ეკლესია-ნავში შესასვლელ სამხრეთის კარს, რომელიც გარედან არქიტრავულია, მთელს სიგანეზე დიდი ბალაგარის ქვა ამშვენებს, შიგნითა მხარეს კი არქიტრავზე შეისრული ფორმის თაღია გამართული (ტაბ.5).

საკურთხეველში გვაქვს სამი ნიშა. ერთი შედარებით დიდი ნალისებრი ფორმის სარქმლის ქვემოთ, ოდნავ გვერდით (ეს ნიშა მდგრელმთსახურთა ჩამოსაჯდომად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი) და თითო-თითო მცირე ოთხეუთხა ნიშა მის ორსავე მხარეს.

თაღების და კამარების ნალისებრი ფორმა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მხოლოდ VII ს-მდე, ე.ი. არაბთა შემოსევამდე. შემდეგ კი თანდათანობით გაქრა [1]. განსხვავებული მოსაზრება არსებობს, რომ ნალისებრი

თაღი V ს-დან X ს-ის ჩათვლით გვხვდება. თაღის ისრისებრი ფორმა კი VII-IX საუკუნიდან ვრცელდება და დიდხანს ცოცხლობს [2]. ამ ტაძარში ორივე ფორმის არსებობა კი, ვფიქრობთ, VII საუკუნეში მის აგებაზე უნდა მიანიშნებდეს.

ძეგლზე არ გვხვდება არანაირი წარწერა, ტაძრის აშენების თუ აღმუნებდლის შესახებ. როგორც ვთქვით, არ გვაქვს რაიმე საფასადო მორთულობა, რელიეფური გამოსახულება ან ორნამენტი, რაც ერთგვარად გაგვიადვილებდა ძეგლის ზესტი თარიღის დადგენას

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამეკლესიან“ ბაზილიკას, როგორც არქიტექტურულ თემას, საფუძველი ეყრება VI ს. შეუძლებელი ის საქართველოს გარეთ უცნობია, VII ს-დან მოყოლებული გარკვეულ ეპოლუციას განიცდის და ისევე როგორც კლასიკური ბაზილიკა, ძირითადად X საუკუნემდევა შენარჩუნებული (უფრო გვიანდელ ნიმუშებს ვძერიდე მხოლოდ სპორადულად მიიჩნევს [1]).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განხილული ძეგლი VII-X საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს. უფრო კონკრეტული დათარიღებისათვის ხელმოსაჭიდი ბევრი არაფერია. შეგვიძლია მხოლოდ პარალელები ვერცხლით ამ პერიოდის ძეგლებში. შორს წასვლა არ დაგვჭირდება, რადგან კახეთის შემოგვინახა ქრისტიანობის პირველი ეტაპის ხეროვნობდების ყველაზე მეტი ნიმუში, განსაკუთრებით სამეკლესიანი ბაზილიკისა. ამ ტიპის ტაძრებს მიეკუთვნება კარდენახის „საბამინდა“, კისისხევის „პონდამიანი“, ველისციხის სამეკლესიანი ბაზილიკა, საბუეში „წმ. შიოს“ ტაძრი, ვაზისუბნის „სამკარიანი“, ზეგანის „ყველაწმინდა“, სამეკლესიანი ბაზილიკა ნეკრესში, ვაჩანაძიანის „ამიდასტური“, ჭერემის „წვეროდაბალი“ და სხვ. ამათგან ქვემო ხოდაშნის სამებასთან არქიტექტურული ფორმების მხრივ განსაკუთრებულ სიახლოებებს ავლენს ოთხი ტაძარი: ველისციხის, საბუეს, ვაზისუბნის და ჭერემის ეკლესიები [5]. თითოეული მათგანი სამეკლესიანი ბაზილიკა - აბსიდიანი მოზრდილი ცენტრალური ნავით (საიდანაც შევდივართ დამატებით სათავსო - სამკვთლოში), გვერდითი ეკლესიებისა და მათი შემაერთებელი დასავლეთის მოცულობით. ყველა ეკლესიაში (გარდა ველისციხისა, რომელსაც მხოლოდ დასავლეთიდან აქვს შესასვლელი), ცენტრალურ ნავში შევდივართ ორი მხრიდან, სამხრეთისა და დასავლეთიდან. ამდენად, ჩვენ მიერ განსახილებ ტაძარშიც დასავლეთით არსებული ლიობი ალბათ კარი უნდა ყოფილიყო, რომელიც დროთა განმავლობაში მიწით დაიფარა ან შემდგომში ამოქოლეს. საბუეში ცენტრალური შესას-

ვლელი დასავლეთიდანაა, სამშაგი ნალისებრი თაღედით, ისევე როგორც ჭერემთან წეროდაბალში, ოდონდ ამ შემთხვევაში სამხრეთის მხრიდან. დანარჩენ თრ ტაძარში ძნელია ამის დადგენა დაზიანების გამო. საბუში და ჭერემში გვერდითა, სამხრეთის კლესია აბსიდით მთავრდება, განსხვავებით ქვემო ხოდაშნის სამებისაგან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ამ ტაძარში გარშემოსავლელი სივრცე სამი თანაბარი სიგანის მოცულობისაა, თუ არ ჩავთვლით სამების ეკლესიაში დასავლეთის ოდნავ განიერ გარშემოსავლელს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაგებთან შედარებით. ამიტომ გვგრია, რომ აღნიშნული ძეგლები ერთ კონკრეტულ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

### 3. დასკვნა

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ დაგვეზუსტებინა სამების ეკლესიის ხუროთმოძღვრული დეტალები. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნულ ყველა მოსაზრებას, ტაძრის აშენების თარიღი ადრეული შეა საუკუნეების საწყის ეტაზზე უნდა მიუთითებდეს. ძეგლის სიძველეზე მეტყველებს თაღების ნალისებრი და ისრისებრი ფორმების თანაარსებობა; სადიაკვნეს არარსე-

ბობა, რაც ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით საკურთხევლის განუვითარებელ საფეხურზე მიანიშნებს. დასასრულ, ჩვენი ინტერესის ობიექტის გარკვეული მსგავსება კახეთში შემორჩენილ სხვა ძეგლებთან საშუალებას გვაძლევს სამების ეკლესიის აგების ქვედა ზღვარი VII საუკუნით განვსაზღვროთ.

შემდგომი კვლევა კი საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად წარმოვადგინოთ მთელი კომპლექსის განვითარების ისტორია და ქრონოლოგიური საზღვრები.

### ლიტერატურა

1. ჭ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრული. თბილისი, 1974.
2. გ. აბრამიშვილი, პ. ზაქარაია, ი. ციციშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია. თბილისი, 2000.
3. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ.1. თბილისი, 1936.
4. გ. ჩუბინაშვილი, ბ. სევეროვი. ქართული არქიტექტურის გზები. ტფილისი, 1936.
5. ჭუბინაშვილი გ. ჩ. არქიტექტურა ქახეთი. თბილისი, 1959.

**UDC 726.54**

**THE TEMPLE OF THE TRINITY IN KVEMO KHODASHENI**

**T. Shiukashvili**

Department of social sciences, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** There are 12 churches and several ruins of churches in Kvemo Khodasheni. Monuments of architecture existing are not still studied there. Until now they don't become the subject matter for any historian or fine art expert, except the passports of monuments, composed by P. Kikacheishvili and A. Topuria in 1986 and 1993.

In so-called Kvemo Khodasheni "complex" is especially interesting the temple of the Trinity. This construction is very injured. Nevertheless, the temple plan is seen well. It should be referred to the tri-church basilica, early samples of which (7th century) are preserved in Georgia and don't exist anywhere. This architectural theme, beginning from the 7th century experiences certain evolution and as well as the basilica, basically keeps its actuality up to the 10th century.

Adjustment of architectural composition of our research subject and its definite similarity with other monuments preserved in Kakheti, allows to take 7<sup>th</sup> century for the lower time limit of the construction.

**Key words:** architecture; georgian; church; christian; kvemo Khodasheni.

УДК 726.54

## ЦЕРКОВЬ ТРОИЦЫ В КВЕМО ХОДАШЕНИ

Шиукашвили Т.Б.

Департамент общественных наук, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** В Квемо Ходашени сохранилось 12 церквей и несколько останков церквей. Существующие там памятники зодчества не изучены. Они по сей день не стали предметом внимания какого-либо историка или искусствоведа, если не считать паспорты памятников, составленные в 1986 и 1993 годах П. Кикачейшили и А. Топурия.

В т.н. «комплексе» Квемо Ходашени особенно интересен храм «Троицы». Строение сильно повреждено. Несмотря на это, просматривается план храма. Его необходимо отнести к типу трехцерковной базилики, ранние образцы которой (VI век) сохранились в Грузии и не встречаются больше нигде. Эта архитектурная тема, начиная с VII века, претерпевает определенную эволюцию и так же, как и базилика, в основном сохраняет свою актуальность до X века.

Уточнение зодческой композиции объекта нашего исследования и его определенное сходство с другими памятниками, сохранившимися в Кахетии, дает возможность принять VII век за нижнюю временную границу строительства.

**Ключевые слова:** архитектура; грузинский; церковь; христианский; Квемо Ходашени.

თელებულია დასაბუქდავ 17.11.10

## შპგ 80

შრაზეოლობიური მრთებულის შინაგორმა, სიმპოზიუმისა და პგაზისტერეოფიციული სიტუაციის მოღები

## 6. გამურელიძე

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.gamkrelidze@mail.ru,

**რეზიუმე:** ნაშრომში ფრაზეოლოგიური ერთეული, იდიომი და მეტაფორა განხილულია, როგორც სამყაროს ენობრივი სურათის შექმნის საშუალება, რომელიც ენაში უკვე არსებული მნიშვნელობის კოგნიტური მანიპულირების შედეგად წარმოიქმნა. ხაზასმულია იდიომის უნარი რაციონალურად და შეკუმშულად გადმოსცეს ობიექტური რეალობა და ასახოს სინამდვილე. ის ამა თუ იმ სიტუაციის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს დაკონურად გამოხატავს და ორიენტირებულია სუბიექტის ცნობიერებაში არსებულ სამყაროს ენობრივ ხატზე.

**საკვანძო სიტყვები:** იდიომი; მეტაფორა; ფრაზეოლოგიური ერთეული; შინაგანი ფორმა; ფრეიმი; ფონური ცოდნა; სამყაროს ენობრივი

ხატი; იდიომატიზაცია; მეტაფორიზაცია; ცნობიერების პროდუქტი; პირველადი ნომინაცია; მეორადი ნომინაცია; შეფასებით-ემოციური დამოკიდებულება; სიმბოლიზაცია; პრაგმატული აღქმა.

## 1. შესავალი

იდიომი ობიექტური რეალობისა და სუბიექტის გარემონტველი სინამდვილის ასახვის რაციონალურად გადმოცემის საუკეთესო საშუალებაა. ის დაკონურად და შეკუმშულად გამოხატავს ამა თუ იმ სიტუაციის დამახასიათებელ ყველა ნიშან-თვისებას, რაც კონკრეტული ენის მატარებლის ენობრივ ცნობიერებაში „სამყაროს ენობრივი ხატის“ ფორმით არის წარმოდგენილი. სხვადასხვა იდიომის

რედუცირების ხარისხი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ის დამოკიდებულია არა მარტო ენის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე, არამედ იმ გარემოებაზე, თუ როგორ აღიქვამს ამ ენის მატარებელი სუბიექტი იდიომის შინაფორმას, როგორც სამყაროს ცოცხალ, თუ უკვე წაშლილ ენობრივ ხატს. სამყაროს ცოცხალი ენობრივი ხატის შემთხვევაში ადამიანის ცნობიერებაში გადაიშლება სამყაროს სურათი მის ცნობიერებაში არსებული სამყაროს ენობრივი ფრაგმენტის რომელიდაც ვარიანტი. რაც შეეხება იდიომს ცნობიერებაში წაშლილი სამყაროს ენობრივი ხატით ის მხოლოდ ნომინაციის მიზნებზე მიანიშნებს და არაარსებითი კავშირების აბსტრაქტორებას ახდენს.

ნაშრომის მიზანია ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაფორმა განიხილოს, როგორც სიმბოლიზაციისა და კვაზისტერეორიზული სიტუაციის მოდელი, როგორც იდიომატიზაციისა და მეტაფორიზაციის პროცესის შედეგი და განისაზღვროს მისი ზეგავლენა ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაფორმაზე.

## 2. ძირითადი ნაწილი

ფრაზეოლოგიური ერთეულები ენის არაფრაზეოლოგიური ერთეულების მსგავსად ენობრივი ცნობიერების პროდუქტია და ასახავს ობიექტურ სინამდვილეს კომუნიკაციის პროცესში. აღნიშნული დაფიქსირებულია იდიომებში მათი შინაფორმის სახით. შეიძლება ვთქვათ, რომ იდიომის შინაფორმა ასოციაციურ-ხატოვან საფუძველზე მოტივირებული კომპლექსია, რომელიც შინაარსის ფორმირებაზეა ორიენტირებული. იდიომი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აღმნიშვნელი კარგავს პირდაპირ კავშირს აღსანიშნოან და გამოიყენება ახალი აღსანიშნის ნომინაციის მიზნით. ნებისმიერ ენაში იდიომები ენობრივი კოლექტივის კომპეტენციაში არსებული ენობრივი ნიშნებია, რომელთა საფუძველია იდიომატურობა.

შეიძლება ვთქვათ, რომ სშირ შემთხვევაში იდიომის ეტიმოლოგია უცნობია. ასე მაგალითად, როგორია დაადგინო, თუ რა ენობრივ-ასოციაციური ხატი უდევს საფუძვლად ქართულ იდიომს: “ჭიათ აქვს მოჭრილი” და მის რუსულ და გერმანულ ანალოგებს “Он соображает на этом деле” “er versteht sich darauf” “er ist ein Meister in diesem Fach”, თუმცა ნათელია, რომ სამივე შემთხვევაში დაპარაგია: 1. პროფესიული საქმიანობის რომელიმე კონკრეტულ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანზე ან 2. ადამიანზე, რომელსაც

რაიმე კონკრეტულ ჩვევაში აქვს გადაზრდილი. საყურადღებოა, რომ ამ იდიომის მნიშვნელობას სწორად აღიქვამს, როგორც ქართული, ისე გერმანული და რუსული ენის მატარებელი სუბიექტი.

მოცემული ფაქტი იმ გარემოებაზე მეტყველებს, რომ იდიომის შინაფორმა განსაჯუთრებულ და სპეციფიკურ მნიშვნელობას იძენს ეწ. “რეალური ფაქტისაგან” დამოუკიდებლად. ის ასრულებს “კვაზისიტუაციის” სიმბოლოს როლს, რომელიც დამკვიდრებულია იდიომის შინაფორმაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ იდიომი არა მარტო იმას აღნიშნავს, რაც დამკვიდრებულია მის შინაფორმაში, არამედ მისი შინაფორმის გარეთ არსებულ ხატოვან-სიმბოლური დატვირთვის მქონე ცნებით-კონცეპტუალურ სუსტანციასაც [1].

ობიექტური სინამდვილის კონცეპტუალიზაცია და ვერბალიზაცია იდიომის მეშვეობით სხვადასხვაგარად შეიძლება განხორციელდეს. იდიომის შინაფორმა მეტაფორიზაციის შედეგად სუბიექტის ცნობიერებაში ხატოვნად ასახვას ობიექტურ სინამდვილეს. ის ჩვენ ცნობიერებაში აირეგილება, როგორც ენობრივ მოცემულობაში დამკვიდრებული სამყაროს შესაძლო ხატი და რეალია. აღნიშნული მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ლინგვოკრეაციული აზროვნება თავისთავად გულისხმობს საგნობრივი სამყაროს რეალურ კავშირებსა და დამოკიდებულებებს სამყაროს სურათის “ფრაგმენტების” შექმნაში. უფრო მეტიც, შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ ამ პროცესში ხდება სუბიექტის მიერ, მის სუბიექტისეულ ფანტაზიაზე დაყრდნობით სამყაროს ვერბალური გააზრება, რაც ენობრივი ცნობიერების შემოქმედებითი ხასიათის უცილობელი დადასტურებაა. საყურადღებოა, რომ პირველადი ნომინაციისაგან განსხვავებით, რაც ობიექტური სინამდვილის ვერბალიზაციას გულისხმობს, იდიომის შექმნა მეორადი ნომინაციის პროცესის შედეგია. აღნიშნული გულისხმობს, რომ ენობრივი ცნობიერების ფრაგმენტი უკვე პირველადი ნომინაციისას დაკავშირებულია არსებულ ენობრივ ერთეულთან, ენობრივი ნიშანი შერჩეულია, რომლის პრიზმიც მეორადი ნომინაციის პროცესი მიმდინარეობს. ლინგვოკრეაციულ აზროვნებას, რომლის დასაყრდენი ბაზა ეროვნული ენაა, ენობრივ ინვენტარში შეაქვს ეროვნულ-კულტუროლოგიური მსოფლმხედველობა, რომლის შეუზღუდავი ბუნება სუბიექტს აძლევს ენობრივი ერთეულის ნეიტრალური სემანტიკიდან ეწ. ემოციური სემანტიკისაკენ გადასვლის წინაპირობას. ემოციური სემანტიკია კი, თავის მხრივ ყოველთვის მიუთი-

თებს სუბიექტისეულ შეფასებით-ემოციურ დამოკიდებულებაზე.

ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიური სისტემა თავის შემადგენლობაში ისეთ სიტყვებს აერთოანებს, სიტყვათშეთანხმებებს და სტრუქტურებს, რომლებიც ინფორმაციას გვაწვდის ენის სისტემის დინამიკაში განვითარების გზების, მეოდების და ტენდენციების შესახებ. ვთქიქრობთ, ამ კუთხით მეტაფორის ფრაზეოლოგიასთან კავშირის კვლევის პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ მეტაფორაა იდიომის წარმოშობის წინაპირობა. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ჯ. ლაინის მოსახრება, რომლის თანახმადაც ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მეტაფორა, რომელიც ახალი იდიომის წარმოქმნის საწინდარია, ე.წ. ხატოვანი, თავისუფალი მეტაფორისაგან. მეტაფორა, რომელიც იდიომის წარმოქმნას უდევს საფუძვლად, მოკლებულია ინდივიდუალურობას და მას ერთგვარი სტანდარტული სახე აქვს. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ამ ტიპის მეტაფორა ინახუნებს საკუთარ ხატოვნებას და იგავურ ბუნებას [2].

მეტაფორა უნივერსალური ენობრივი მოვლენაა, რაც ვლინდება, როგორც სივრცესა და დროში, ასევე ენის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაში. ის კვლევა ენისათვის დამახასიათებელია დროის ნებისმიერ ისტორიულ ჰრილში, ენის სხვადასხვა ასევებს მოიცავს და მის ფუნქციურ სახესხვაობებში ვლინდება [3]. მეტაფორიზაციის საფუძველი ცნების ბუნდოვანებაა. სუბიექტი კომუნიკაციის პროცესში „სარგებლობს“ რა ამგვარი ბუნდოვნებით, საკუთარ ცნობიერებაში მუდმივად ასახავს ცვალებად ექსტრალინგვისტურ ქმედებებს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტაფორის პრობლემა, ანუ ენობრივი გამონათქვამის ახალი მნიშვნელობის შექმნის პროცესი და მზა მეტაფორული მნიშვნელობა განიხილება, როგორც სტილისტური საშუალება ან მხატვრული ხერხი. მართებულად მიგვაჩნია ის განვიხილოთ, როგორც სამყაროს ენობრივი სურათის შექმნის საშუალება, რომელიც ენაში უკვე არსებული მნიშვნელობის კოგნიტური მანიპულირების შედეგად წარმოიქმნა.

მეტაფორისაგან განსხვავებით ფრაზეოლოგიურ ერთეულში მნიშვნელობის ფორმირება ხდება მთელი რიგი ენობრივი გარემოებების გათვალისწინებით და მას, როგორც წესი, სიტყვათშეთანხმების ფორმა აქვს. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ მეტაფორულ საფუძველზე შექმნილი “ენობრივი ხატი” მდგრადი ფენომენია და ის ხატოვანი მეტაფო-

რის სახით დამახასიათებელია კველა ფრაზეოლოგიური ერთეულისათვის.

მეტაფორები, რომლებიც იდიომების წარმოქმნის საფუძველია, ენობრივი კოლექტივის არსებობის გარკვეულ ისტორიულ მომენტში აბსოლუტურად სტანდარტული მოვლენებისა და სიტუაციების ნომინაციას ახდენდნენ. თუმცა, ენათმეცნიერებაში ცნობილია ისეთი მეტაფორებიც, რომლებიც მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში არსებული არარეალური საგნებისა და მოვლენების შედარების საფუძველზე აღმოცენდა [4]. ასეთ შემთხვევებში საუბარია ბუნებაში არარსებულ ცნებებზე. ამ ტიპის მეტაფორის არსებობა ენაში ენის მატარებელთა ფონურ ცოდნაზე, ინდივიდუალურ ფრეიმულ სემანტიკაზე აღმოცენებული სტერეოტიპია. ის არის ეროვნული მსოფლმხედველობით განპირობებული წარმოსახვის უნარის ნაყოფი, რაც კომუნიკაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტია. მაგალითად, “показать где раки зимуют” – “ich werde dir zeigen wo der Pfeffer waechst” – “er weiss wo Barthel den Most holt” – “კუდიოთ ქვას გასროლინებ” – “შავ დღეს დაგაყრი”. საყურადღებოა, რომ ასეთი ტიპის ნომინაცია, როგორც წესი, მხოლოდ იდიომატიკაში არსებობს. ასე მაგალითად, თუ კომუნიკანტთა ცნობიერებაში არსებობს ისეთი ვირტუალური ცნებები, როგორცაა დევები, ქაჯები, ცხრათავიანი ან სამთავიანი გველეშაპები და ა.შ.

ენაში მიმდინარე ფრაზეოლოგიზაციის პროცესი გარკვეულ ენობრივ მექანიზმებთანაა დაკავშირებული. ამგვარ მექანიზმში ენობრივი ნიშნის უნარი იგულისხმება ჩამოაყალიბოს ენობრივი ერთეულის მოტივირებული მეორადი ნომინაცია, ენობრივი ნიშნის პირველადი მნიშვნელობის გადატანის საფუძველზე. ასეთი მოტივირებას საფუძვლად უდევს არა მარტო მეტაფორების ხატოვანი ასევებზე, არამედ ისეთი ენობრივი საშუალება, როგორიც “სიმბოლიზაცია”. ის არ არის პირდაპირ დაკავშირებული ამა თუ იმ ცნების ხატოვან გადააზრებასთან. მისი სპეციფიკა მდგომარეობს ენობრივი ნიშნის მოტივაციაში, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო მნიშვნელობის გადატანასთან, როგორც ეს “ტროპების” შემთხვევაში ხდება, არამედ სამყაროს ენობრივ ხატოვან, კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ე.წ. “ფონურ ცოდნასთან”, ფრეიმთან, რომელშიც ძველი აკუმულირებული ინფორმაციაა დაკავშირებული და ამა თუ იმ ცნების, ან სტერეოტიპული სიტუაციის პრაგმატულად აღქმის უნართან.

### 3. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დაქვემდებრებული ერთეულების მიღმა სუბიექტის ცხობიერებაში გარკვეული ნიშნებია ჩადებული, ასოციაციურ-სიტუაციური მოდელები, რომლებიც ვერბალური მეტყველების პროცესში გადატანითი მნიშვნელობით გამოიყენება. ეს ცნებები, კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცხობიერებაში ეროვნულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ემოციური იმპულსის წარმოქმნის საჭიბდარია, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ელფერის მატარებელი. ასევე საყურადღებოა, რომ ვირტუალური ცნების ამგვარი ნომინაცია გასაგებია კონკრეტული ენობრივი კოლექტივის უკლებლივ უველავერისათვის. ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაფორმა იდიომატიზაციისა და მეტაფორიზაციის შედეგია. ის სიმბოლიზაციისა და კვაზის-

ტერმოტიპული სიტუაციის ერთგვარი მოდელია. ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ აღნიშვნული უნდა განვიხილოთ, როგორც სამყაროს ირაციონალური, ინტეიციურ-გრამატიკული, ასოციაციურ-მეტაფორული და ანთროპომორფული ასახვის კომპლექსი.

### ლიტერატურა

1. Шахнарович А.М., Графова Т.А. Человеческий фактор в языке. Языковые механизмы экспрессивности. М.: Наука, 1991.- 140 с.
2. Lyons J. Semantique. Linguistique, Paris. 1980. P. 200-202.
3. Гак В.Г. Метафора, универсальное и специфическое. М.: Наука, 1988, с.11-12.
4. Черданцева Т.З. Метафора и символ. Метафора в языке и тексте. М.: Наука, 1988, с.79.

### UDC 80

## THE INTERNAL FORM OF PHRASEOLOGICAL UNIT, AS A MODEL OF SYMBOLIZATION AND QUASISTEREOTYPE SITUATION

**N. Gamkrelidze**

Department of foreign languages and communications, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The Idiom is the best means as for display of an objective reality, and for rational and compact statement. It economically expresses characteristic values and properties of various situations and is focused on a language icon existing in the subject knowledge. The idiom is necessary for considering as means of creation of a language picture of the world, which has been formed in language as a result of cognition manipulations of already existing value.

**Key words:** idiom; metaphor; phraseological unit; internal form; frame; background knowledge; language icon of the world; idiomatization; metaphorization; knowledge product; primary nomination; evaluating-emotional dependence; symbolization; pragmatic perception.

### УДК 80

## ВНУТРЕННЯЯ ФОРМА ФРАЗЕОЛОГИЧЕСКОЙ ЕДИНИЦЫ, КАК МОДЕЛЬ СИМВОЛИЗАЦИИ И КВАЗИСТЕРЕОТИПНОЙ СИТУАЦИИ

**Гамкрелидзе Н. О.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Идиома является лучшим средством как для отображения объективной реальности и действительности, так и для их рационального и компактного изложения. Она экономично выражает характерные значения и свойства той или иной ситуаций и ориентирована на существующую в познании субъекта языковую икону. Идиому необходимо рассмотреть как средство создания языковой картины мира, которая была образована в языке в результате когнитивного манипулирования уже существующего значения.

**Ключевые слова:** идиома; метафора; фразеологическая единица; внутренняя форма; фрейм; фоновое знание; языковая картина мира; идиоматизация; метафоризация; продукт познания; первичная номинация; оценочно-эмоциональная зависимость; символизация; прагматичное восприятие.

მიღებულია დასაბუჭიდავ 01.11.10

**შაბ 80****ვრცელი და ადამიანის მეტაფორული აზროვნება****ნ. გამკრელიძე**

უცხოური ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 77

E-mail: n.gamkreidze@mail.ru

**რეზიუმე:** ობიექტური რეალობა და სოციალური გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ განაპირობებს ენობრივი ნიშნის შინაფორმას. ის ყალიბდება ასოციაციურ წარმოდგენათა კვაზისტერეოტიპების კომპლექსში და ვერბალური საშუალებებით აერთიანებს ობიექტური რეალობის შემადგენელი ამა თუ იმ მოვლენისადმი „მიწერილ“ ნიშან-თვისებებს. აღნიშნული ენათმეცნიერებაში ცნობილია ტერმინით „Gestaldt“ და ადამიანის მეტაფორული აზროვნების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. მასში თითოეული სიტყვა ქმნის ე.წ. „კონკრეტულ ფრემს“ რაც ინდივიდის ფონურ ცოდნას მისი ეროვნული მსოფლმხედველობით განაპირობებულ ასოციაციურ კავშირებს, აკუმულირებულ მენტალურ და ასოციაციურ-სიტუაციურ მოდელებს ემსარება.

**საკვანძო სიტყვები:** ენობრივი ნიშნის შინაფორმა; ასოციაციური წარმოდგენები; ასოციაციურ-სიტუაციური მოდელები, კვაზისისტემების კომპლექსი; „Gestaldt“-ი, „გეშტალდტფინდოგია“; მეტაფორული აზროვნება, ფონური ცოდნა; კონტრასტის ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ენობრივი ნიშნის მოტივაცია.

**1. შესავალი**

ნებისმიერ ენაში ენობრივი ერთეულის შინაფორმას განაპირობებს როგორც გარემომცველი სინამდვილე და სოციალური გარემო რომელშიც ვცხოვრობთ, ასევე მასში არსებული ძლიერი მეტაფორული ხატოვანება. ენობრივი ნიშნის შინაგანი ფორმა კომუნიკაციის პროცესში გაიაზრება საზოგადოების ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების ჭრილში. ის ყალიბდება ასოციაციურ წარმოდგენათა კვაზისტერეოტიპების კომპლექსში და ენობრივი საშუალებებით აერთიანებს ობიექტური რეალობის შემადგენელი ამა თუ იმ მოვლენისადმი „მიწერილ“ ნიშან-თვისებებს. ამგვარი სტერეოტიპების ენათმეცნიერებაში ცნობილია ტერმინით „Gestaldt“ და ადამიანის მეტაფორული აზროვნების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

**2. ძირითადი ნაწილი**

„გეშტალტფინდოგიული“ დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად სუბიექტი ყველა თავის ქმედებას, მათ შორის ენობრივსაც „გეშტალტების“ მეშვეობით წარმართავს. ამდენად ნებისმიერი ენობრივი მოცემულობა ადამიანის ფონურ ცოდნაზე დამყარებულ „გეშტალტურ მთლიანობად“ შეიძლება წარმოიდგინოთ. თუ დავეყრდნობით ფსიქოლოგიაში არსებულ „ფიგურისა“ და „კონტრასტის“ ცნებებს, მაშინ ენობრივი ნიშნის ექსპრესიული ბუნებაც კონტრასტის ფსიქოლოგიური ზემოქმედების მექანიზმით შეიძლება ავსხნათ [1].

ენობრივი ნიშნის მოტივაციისა და მისი ნებისმიერობის პრობლემა კვლევის საგანს ჯერ კიდევ ანტიგურ პერიოდში წარმოადგენდა. ასე მაგალითად, ჩინური კლასიკური ფილოსოფიის აყვავების ხანაში ჩვ.წ. აღრიცხვამდე V-III საუკუნეებში ამ საკითხის კვლევით დაინტერესებულნი იყვნენ კონფუცი და მისი მიმდევრები, ასევე ლეგისტრებისა და დაოსის ფილოსოფიური სკოლების წარმომადგენლები ამავე პრობლემას იყვლევდნენ ჩვ.წ. აღრიცხვით V-VI საუკუნეებში ძველი ინდური გრამატიკული სკოლის წარმომადგენლები ბახტრისარის ხელმძღვანელობით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის „იდეის“ როგორც მოცემულობის კვლევას საფუძველი პირველად პლატონმა ჩაუყარა [2]. მან პირველმა უწოდა სახელის მოტივაციის საფუძველს „იდეა“ და განმარტა ის, როგორც შემაერთებელი რგოლი სახელსა და მის შინაარსს შორის.

ენობრივი ნიშნის „შინაფორმის“ როგორც ცნების ფუძემდებელი, გერმანელი მეცნიერი - ენისა და კულტურის ფილოსოფოსი ვ.ფ. პუშ्टოლდტია. მისი თეორიის მიხედვით „სიტყვა საგნის არა მხოლოდ გრძნობად-აღქმადი ეკვივალენტია, არამედ იმის ეკვივალენტიცაა, თუ როგორ გაიაზრება ის ენობრივ-შემოქმედებითი აქტის პროცესში“ [3].

სიტყვის „შინაფორმის“ პრობლემამ მიიპყრო არა მარტო ენათმეცნიერთა, არამედ ფსიქოლოგთა ურადღებაც. ქართველმა ფსიქოლოგმა დ.უზნაძემ, რომელმაც ფსიქოლოგიაში სრულიად ახალი მიმართულება შექმნა „განწყობის თეორიის“ სახით აღინიშნული საკითხის კვლევა ფსიქოლოგიურ ჭრილში განახორციელა. თავის

ნაშრომში “ენის შინაფორმა” [4]. დ. უზნაძე ენაში ლექსიკური ერთეულების შინაფორმის ფსიქოლოგიურ სტატუსს აღგენს და ხაზს უსვამს ერთი და იმავე საგნის სხვადასხვაგარად ნომინაციის შესაძლებლობას. მას მოპყავს ჰუმბოლდტის მიერ შემოთავაზებული კლასიკური მაგალითი, კონკრეტულად კი “სპილოს” აღმნიშვნელი სახელები სანსკრიტში. სიტყვა-სიტყვით ეს ლექსიკური ერთეული ნიშნავს “ორჯერ მსმელს” “ორგბილიანს” “ორეშვიანს”. აღნიშნულ ფაქტს დ. უზნაძე სსნის იმით, რომ ერთი და იმავე საგნის მიმართ ადამიანებს, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა განწყობა უნდებათ. ამის შესაბამისად, დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ სუბიექტს რეფერენტის ნომინაცია შეუძლია, როგორც სხვადასხვა ასპექტში, ასევე მისთვის კონკრეტულ მომენტში რელევანტური კუთხით. დ. უზნაძის მიხედვით სიტყვა განისაზღვრება არა ამა თუ იმ კონცეფციით ან იდეიით, არამედ სუბიექტის მიერ წინასწარ “ფონური ცოდნის” საფუძველზე შექმნილი განწყობით. სიტყვის შინაფორმას კი, ქმნის არა ენის “ინტელექტუალური ნაწილი” ან ფსიქოლოგიური შინაარსი (კუნძგი), არამედ განწყობა.

შეიძლება ვთქათ, რომ სუბიექტი საგნის შემცნებისა და მისი ნომინაციის პროცესში ხაზს უსვამს აღსანიშნის იმ მარკერს, რაც კონკრეტულ მომენტში მისთვის მნიშვნელოვანი და რელევანტურია. საფუძველი ის გარემოება, რომ სუბიექტში იგულისხმება არა მხოლოდ ცალკე აღქული ინდივიდი, არამედ მთელი ენობრივი კოლექტივი, რომლის ენობრივი ხატი მის “ფონურ ცოდნაზე” დაფუძნებული მსოფლიერველობითი ორიენტირებით განისაზღვრება. ცხადია, განსხვავებულ ენგზი არსებობს სხვადასხვა ენობრივი მოცემულობა, რომელთა შინაგანი ფორმა და ხატოვანი მხარე ერთმანეთს ემთხვევა. ამდენად, სავსებით შესაძლებლად მიგანია, რომ სხვადასხვა ენაზე მოღარეობარაგე ხალხს ამა თუ იმ კონკრეტული საგნის ნომინაციის მიმართ ერთნაირი წინასწარი განწყობა შექმნას. აღნიშნული ფაქტის ასენას ჩვენ ცხადია ვერ შევძლებთ საერთო ენობრივი სივრცით ან საერთო ისტორიულ-კულტურული განვითარების ტენდენციებით. სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში ერთგვაროვანი განწყობის არსებობა მსგავსი ასოციაციებისა და ზოგადადამიანური აზროვნების არსებობაზე მიუთითებს. ინდივიდის წინასწარ ფსიქოლოგიურ განწყობას რეფერენტის ნომინაციის პროცესში წინ უსწრებს ასოციაციის გზით მის “ფონურ ცოდნაზე” და ეროვნულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული აკუმულირებული შინაარსი, მენტალური და სიტუაციური მოდელი - ფრეიმი, რაც სუბიექტს

აძლევს შესაძლებლობას ობიექტის ნომინაცია განახორციელოს სხვადასხვა კუთხით მისთვის რელევანტური საშუალებებით.

მართებულად მიგვანია მოკლედ განვმარტოთ ენობრივი ერთეულის ფრეიმულ სემანტიკასა და ლექსიკურ-სემანტიკურ ველს შორის არსებული ფუნდამენტური განმასხვავებელი პრინციპი. კერძოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკურ-სემანტიკური ველის ამოსავალი არის სიტყვა და მისი მიმართებები სხვა სიტყვებთან. ფრეიმულ სემანტიკას რაც შეეხება, მასში თითოეული სიტყვა ქმნის ეწ. „კონკრეტულ ფრეიმს“ რაც ინდივიდის ფონურ ცოდნას მისი ეროვნული მსოფლმხედველობით განპირობებულ ასოციაციურ კავშირებს და მასში აკუმულირებულ მენტალურ, ასოციაციურ-სიტუაციურ მოდელებს ემყარება.

კვაზისისტებმა კომპლექსი, ანუ იგივე “გეშტალტები” უხვადა ფოლკლორული ტიპის ზეპირ, თუ წერილობით ტექსტებში. მათი წარმოქმნის ძირითადი ხერხია საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გადატანა გარე სამყაროზე. ამგვარად სამყაროს შესახებ მიღებული “ფონური ცოდნა”, რომელიც ჩვენშია აკუმულირებული, კონდენსირდება და გადაეცემა ადამიანთა ურთიერთმიმართებების ყველა სფეროსა და ფორმას. ასე მაგალითად, როგორც ვამბობთ „მელასავით ცბიერი ადამიანი“, ადამიანს მივაწერთ იმ ნიშან-თვისებას, რომელსაც თითქოსდა ფლობს მელა „თითქოს მელას შესწევს უნარი იყოს ცბიერი“ [5].

### 3. დასკვნა

ამიზად, შეიძლება ვთქათ, რომ სხვადასხვა ერში სემანტიკური აღეკატურობის ახსნა, ალბათ უფრო საერთო ინტერკულტუროლოგიური განვითარების ტენდენციებში უნდა ვეძიოთ. ხატოვანება, რომელსაც შეიცავს „გეშტალტი“ ადრესანტს უადვილებს კომუნიკაციის პროცესში საკუთარი ემოციური მდგომარეობის გამოხატვას და უსრულებელყოფს ადრესატის მიერ ნათქამის სწორად გაგებას. ამის საწინდარი კი ის სტერეოტიპია, რომელიც ადრესატის ცნობიერებაში უკვე წინასწარ მზა ფორმით მოცემულ “ფონურ ცოდნაზე“, მსოფლმხედველობით ორიენტირებზე და მის ცნობიერებაში არსებულ ფრეიმულ სქემებზეა დაფუძნებული. ხატოვანება, რომელსაც შეიცავს „გეშტალტი“ ადრესანტს უადვილებს კომუნიკაციის პროცესში საკუთარი ემოციური მდგომარეობის გამოხატვას და უსრულებელყოფს ადრესატის მიერ ნათქამის სწორად გაგებას. ამის საწინდარი კი ის სტერეოტიპია, რომელიც ადრესატის ცნობიერებაში უკვე წინასწარ მზა ფორმით მოცემულ “ფონურ ცოდნაზე“, მსოფლმხედველობით ორიენტირებზე

და მის ცნობიერებაში არსებულ ფრეიმების სქემებზეა დაუკავშირდება.

### **ლიტერატურა**

1. Лакоф Д.Ж., Джонсон М. Метафоры, которыми мы живем//Язык и проблемы социального взаимодействия. Москва: Наука, 1988, с.24-30, 359-361.
2. История лингвистических учений. Древний мир. Ленинград: Прогресс, 1980, с.94-97, 131-132.
3. Гумбольдт В.Ф. Различие строения человеческих языков и его влияние на духовное развитие человека // В.Ф. Гумбольдт. Избранные труды по языкоизнанию. Москва: Наука, 1984.
4. დ. უზნაძე ენობრივი განვითარების შესახებ. ენის შინაგანმაღალი // საქსესრ.აკადემიის. ფინანსობრივი ინსტიტუტის შრომები, თ.4, თბილისი, 1947.
5. Жоль К.К. Мысль, слово, метафора // Проблема семантики в философском освещении. Киев, 1984, с.40-45.

**UDC 80**

## **FRAME AND THE METAPHORIC THINKING OF A PERSON**

**N. Gamkrelidze**

Department of foreign languages and communications, Georgian Technical University, 77, Kostava str, Tbilisi, 0175, Georgia

**Resume:** The Internal form of a language sign is defined by an objective reality and the surrounding social environment. It is established in a complex quasystereotypes of associative representations and verbal means unites attributed to the property phenomenon making an objective reality. In linguistics noted it is known under the term "Gestaldt" and it is an integral part of metaphoric thinking of the person based on frame semantics. In it each word creates so-called "concrete frame" and is based on background knowledge of the individual, accumulated mental, associative-situational models, defined by national outlook of the associative unions.

**Key words:** internal form of a language sign, associative representations, associative-situational models, complex quasystems, "Gestaldt", "Gestaldt psychology", metaphoric thinking, background knowledge, psychological influence of contrast, motivation of a language sign.

**УДК 80**

## **ФРЕЙМ И МЕТАФОРИЧЕСКОЕ МЫШЛЕНИЕ ЧЕЛОВЕКА**

**Гамкрелидзе Н.О.**

Департамент иностранных языков и коммуникаций, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. Костава, 77

**Резюме:** Внутреннюю форму языкового знака определяет объективная реальность и окружающая социальная среда. Она устанавливается в комплексе квазистереотипов ассоциативных представлений и вербальными средствами объединяет приписанные к какому-либо явлению свойства, составляющие объективную реальность. В языкоизнании отмеченное известно под термином "Gestaldt" и оно является неотъемлемой частью метафоричного мышления человека, основанного на фреймной семантике. В нем каждое слово создает т.н. "конкретный фрейм" и опирается на фоновое знание индивида, аккумулированные ментальные, ассоциативно-ситуационные модели, ассоциативные союзы, определенные национальным мировоззрением.

**Ключевые слова:** внутренняя форма языкового знака; ассоциативные представления; ассоциативно-ситуационные модели; комплекс квазисистем; "Gestaldt"; "гештальт-психология"; метафоричное мышление; фоновое знание; психологическое влияние контраста; мотивация языкового знака.

*დოდეკადი დასაბუღავი 01.11.2010*

## ავტორთა საძიებელი

### Author's index

### Указатель авторов

- |                      |                       |                      |
|----------------------|-----------------------|----------------------|
| ავალიანი ბ. 20       | მღებრიშვილი ბ. 67, 78 | Kublashvili Z. 72    |
| ბერიშვილი გ. 51      | მშვენიერაძე ი. 25     | Mchedlishvili Z. 72  |
| ბერიშვილი ბ. 9, 12   | ნემსაძე შ. 36         | Tavkhelidze D. 72    |
| ბერიძე ლ. 15         | სიმონგულაშვილი ზ. 36  | Амилахвари Г.Н. 46   |
| ბუხნიკაშვილი პ. 82   | ტოპაძე ლ. 51          | Гулуа Д.В. 46        |
| ბუხნიკაშვილი თ. 82   | ქ'ეთათელაძე რ. 87     | Дарсавелидзе Г.Ш. 42 |
| გამყრელიძე ბ. 95, 99 | შარაშენიძე გ. 67, 78  | Дарчиашвили М.Д. 42  |
| გიორგობიანი რ. 9, 12 | შარაშენიძე ბ. 67, 78  | Майсурадзе Н.И. 42   |
| დუნდუა თ. 67, 78     | შიუკაშვილი თ. 91      | Микадзе О.И. 42      |
| ზედგინიძე ი. 61      | ჩიქოვანი ბ. 36        | Пипия Г.М. 46        |
| ზვიადაძე კ. 20       | ჩხეიძე ი. 51          | Топурия С.Б. 55      |
| კლდიაშვილი ვ. 36     | ცირდავა გ. 36         | Хочолава В.В. 55     |
| კობიაშვილი ა. 87     | ხმელიძე თ. 9, 12      |                      |
| კურტანიძე პ. 67, 78  | Gvetadze D. 29        |                      |
| მენაძე თ. 61         | Gvetadze R. 29        |                      |

## ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული არის რეფერირებული პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოიცემა წელიწადში ოთხჯერ (პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მარტამდე, მეორე ნომერი - 1 აპრილიდან 30 ივნისამდე, მესამე ნომერი - 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე და მეოთხე - 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე).

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ მოპოვებული ახალი მიღწევების, გამოკვლევათა მასალებისა და შედეგების ოპერატიულად გამოქვეყნება.

სტატიების მიღება შესაძლებელია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ქვეყნდება ორიგინალის ენაზე).

ავტორს შეუძლია მხოლოდ ორი სტატიის მოწოდება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდენობა ხუთს არ უნდა აღემატებოდეს.

კრებულში ქვეყნდება სტატიები მეცნიერული კვლევების ახალი შედეგების შესახებ შემდეგი თემორიული და გამოყენებითი დარგების მიხედვით:

- მშენებლობა
- ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია
- სამთო-გეოლოგია
- ქიმიური ტექნოლოგია, მეტალურგია
- არქიტექტურა, ურბანისტიკა, დიზაინი
- ინფორმატიკა, მართვის სისტემები
- სატრანსპორტო, მანქანათმშენებლობა
- ჰუმანიტარულ-სოციალური
- ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

გთავაზობთ სამეცნიერო სტატიის გაფორმების წესს:

- ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდი 5-7 გვერდით (მინდვრები 2 სმ) ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების და ლიტერატურის ჩამონათვალით;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS-Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;

- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ Acadnusx შრიფტი, ზომა 12;
- ინგლისური და რუსული ტექსტის შრიფტი - Times New Roman, ზომა 12;
- სტატიის თავი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - უაკ-ს (უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია);
  - ავტორის/ავტორების სახელს, მამის სახელს, გვარს;
  - ავტორის/ავტორების ელექტრონული ფოსტის მისამართს და საკონტაქტო ტელეფონს;
  - დეპარტამენტის დასახელებას სამივე ენაზე;
  - საკვანძო სიტყვებს სამივე ენაზე.
- სტატიაში ქვესათაურებით გამოკვეთილი უნდა იყოს შესავალი, მირითადი ნაწილი და დასკვნა;
- ნახაზების ან ფოტოების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს TIFF ფორმატში გარჩევადობით 150 dpi;
- სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი/ავტორები პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.

გთავაზობთ სტატიის წარმოდგენისთვის საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალს:

- ორი რეცენზია;
- ფაკულტეტის სწავლულ ექსპერტთა დარგობრივი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი;
- ფაკულტეტის ან მიმართულების სემინარის ოქმის ამონაწერი.

## To the authors attention!

Transactions of Georgian Technical University represents reviewed, periodical edition, which there is published four times in year. (the first number includes the period from 1 January to 31 March, the second number - from 1 April to 30 June, the third number - from 1 July to 30 September and the fourth - from 1 October to 31 December).

Purpose of collection is assistance of science development, new achievements of scientists and specialists, operative publication materials and results of scientific researches.

The articles are accepted in Georgian, English and Russian languages (are published in original language).

Author is allowed to present only two articles.

The publication of articles for the workers of Georgian Technical University is free of charge.

The amount of authors of article mustn't exceed 5.

In transactions are published articles about new results of scientific researches according to the following theoretical and applied sphere:

- Building
- Energetics, telecommunication
- Mining-geology
- Chemical technology, metallurgy
- Architecture, urbanist, design
- Informatic, systems of management
- Transport, engineering industry
- Humanitarian-social
- Institute of buildings, special systems and engineering maintenance

There is offered the rule of official registration of scientific articles:

- The volume of work is determined A4 paper size at 1,5 line spacing 5-7 printed page (margins - 2cm) draughts, diagrams, tables and a list of literature.
- The article should be carried out in form file DOC (MS-WORD), written down on any magnetic carrier
- For Georgian text is used Acadnusx font, size 12
- For English and Russian texts is used font - Times New Roman, size 12;

- The beginning of the article should contain the following informations
  - UDC (Universal Decimal Classification)
  - Name, surname, of author/authors
  - E-mail and contact telephone of author/authors
  - The name of department in all three languages
  - Key words in all three languages
- In the article with subtitles should be isolated introduction, the body of the article and conclusion
- Computer version of pictures or photos must be done in size TIFF with the recognition 150 dpi
- The article should have resume in Georgian, English and Russian languages
- The article should be written correctly, with the observance terminology, without stylistic and grammatical mistakes.
- Author/authors are responsible for content and quality of article.

There is offered the following documentation for the article presentation:

- Two reviews;
- Extract from the minutes of a branch commission meeting of faculty learned experts;
- Extract from the seminar minutes of faculty or direction.

## К сведению авторов!

Сборник научных трудов Грузинского технического университета является реферированным периодическим изданием, которое выходит в свет четыре раза в год (первый номер включает период с 1 января по 31 марта, второй номер – с 1 апреля по 30 июня, третий номер – с 1 июля по 30 сентября и четвертый – с 1 октября по 31 декабря).

Назначение сборника – содействие развитию наук, новых достижений ученых и специалистов, оперативная публикация материалов и результатов исследований.

Принимаются статьи на грузинском, русском и английском языках (публикуются на языке оригинала).

Автор может представить только две статьи.

Для сотрудников Грузинского технического университета статьи публикуются бесплатно.

Количество авторов статьи не должно превышать 5.

В сборнике печатаются статьи, касающиеся новых результатов исследований по следующим теоретическим и прикладным отраслям:

- Строительство.
- Энергетика, телекоммуникации.
- Горное дело-геология.
- Химическая технология, металлургия.
- Архитектура, урбанистика, дизайн.
- Информатика, системы управления.
- Транспорт, машиностроение.
- Гуманитарная – социальная.
- Сооружения, специальные системы, инженерное обеспечение.

Предлагаем порядок оформления научных статей:

- Объем работы определяется форматом бумаги А4 с интервалом 1,5, 5-7 печатными страницами (поля = 2см), с перечислением рисунков, графиков, таблиц и списка литературы.
- Статья должна быть выполнена в виде файла DOC (MS-Word), записанного на любом магнитном носителе.
- Для грузинского текста используется шрифт Acadnusx, размер 12.
- Для английского и русского текстов – шрифт Times New Roman, размер 12.

- В начале статьи должна содержаться следующая информация:
  - УДК (Универсальная десятичная классификация).
  - Фамилия, имя, отчество автора/авторов.
  - Адрес электронной почты автора/авторов и контактный телефон.
  - Название департамента на трех языках.
  - Ключевые слова на трех языках.
- В статье подзаголовками следует выделить введение, основную часть и заключение.
- Компьютерный вариант рисунков или фото должен быть выполнен в формате TIFF с разрешением 150 dpi.
- Статья должна иметь резюме на грузинском, русском и английском языках.
- Статья должна быть написана грамотно, с соблюдением терминологии, без стилистических и грамматических ошибок.
- Автор/авторы ответствен/ы за содержание и качество статьи.

Для представления статьи необходимы следующие документы:

- Две рецензии.
- Выписка из протокола заседания отраслевой комиссии ученых-экспертов факультета.
- Выписка из протокола семинара факультета или направления.

რედაქტორები: ნ. დოლიძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოებას 12.01.2011. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.03.2011. ბეჭდვა  
ოფსეტური. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6,5. ტირაჟი 100 ეგზ.  
შეკვეთა №

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

